საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ოთხშაბათი, 22 ნოემბერი. 2017 წ. №238 (8375), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ხელისუფლების ეკონომიკური გუნდის საყურადღებოდ!

სახელმწიფოს ღია ჭრილობა!

პაატა ლეიაშვილი:

ადამისდროინდელი პოლიტიკით ვერ ავაშენებთ XXI საუკუნის ეკონომიკას!

4 5

ნუგზარ ფოფხაძე

რუსეთუმე არა... კვატი!

ამ ჩანაწერს რაც შეიძლება მეტი ქართველი უნდა გაეცნოს! 3

...კიევის მაიდანზე „ქართული კვალი“ იპოვეს?!

2

800-მდე პატიმარი წამების ფაქტებს აღასტურებს!

6

გია გაბრიჭიძე:

სახალხო დამცველი თუ იდეოლოგიური მძარცველი?!..

7

ენათესაობა თუ არა პიცა ხაჭაპურს?

9

ბიზნესის აქტუალური პრობლემები და იუსტიციის უმაღლესი საბჭო

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ეკონომიკურ-სამართლებრივ საკითხთა კომიტეტმა შეხვედრა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებთან გამართა. კომიტეტის სხდომას საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი ნინო ჩიქოვანი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე ესწრებოდნენ. შეხვედრის მიზანი იმ სამართლებრივი საკითხების განხილვა იყო, რომლებიც გავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნეს-სუბიექტების საქმიანობაზე.

ღონისძიება დისკუსიის რეჟიმში წარიმართა. ძირითადი განსახილველი საკითხები იყო: გაჭიანურებული სასამართლო პროცესები, ონლაინსესხებისა და მსგავსი მარტივი ხასიათის დავების გადაწყვეტა, ელექტრონული სამართალწარმოების პროგრამის ეფექტიანობა, სპეციალიზებული კოლეგიებისა და პალატების შექმნის ინიციატივა, სასამართლო საქმეების საძიებო სისტემის დახვეწა და სხვ.

ეკონომიკურ-სამართლებრივი კომიტეტი საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და EY-ის ინიციატივით 2016 წელს შეიქმნა. მისი მთავარი ამოცანა საკონსულტაციო კომპანიებთან ერთად პრობლემურ საკითხებზე მსჯელობა და მათი გადაჭრის გზების ძიებაა. კომიტეტი ამ ეტაპზე 12 ბიზნეს-საკონსულტაციო კომპანიას აერთიანებს.

კომიტეტის ფარგლებში განსახილველი საკითხები საკანონმდებლო ცვლილებებს, კანონპროექტებსა და სხვა მსგავს საკითხებს ეხება, რომლებიც მნიშვნელოვანია საქართველოში ბიზნესის-კეთებისას. სავაჭრო-სამრეწველო პალატა, როგორც მედიატორი საჯარო და კერძო სექტორებს შორის კომიტეტის ფარგლებში წამოჭრილი და დამუშავებული საკითხების სახელმწიფო ორგანოებისთვის მიწოდებას უზრუნველჰყოფს.

ამ ეტაპისთვის კომიტეტმა უკვე 3 სხდომა გამართა, რომელთა ფარგლებშიც გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის კანონპროექტი, სპეციალიზებული კომერციული და საგადასახადო პალატის დაარსება/რეფორმის კონცეფცია და საგადასახადო სისტემის ცვლილებები განიხილეს. სწორედ კომიტეტის ინიციატივით დაიგეგმა და გაიმართა სემინარი საგადასახადო სისტემის „ესტონური მოდელის“ შესახებ, როგორც მსხვილი, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ეკონომიკურ-სამართლებრივ საკითხთა კომიტეტის წევრი არიან: **EY — „იუაი საქართველო“, „ახვლდიანი აუდიტი და კონსალტინგი“, PWC, KPMG, BDO, FMG, Kreston International, PMCG, Deloitte, BLC, CCLA** და **IGROUP**.

◎ დღის ამოჭრაზურიდან

თვითმარქვიები მომრავლდნენ

— გაიგე, მეგობარო, თურმე „რუსთავი-2“ საქართველოს მთავარი არხი ყოფილა, ხოლო სააკაშვილისგან გაგენერალდირექტორებული მეჯოჯოხეთე გვარამია — მსოფლიოში უპირველესი გურმანი!

— მერედა, ვინ მიანიჭა, ბატონო ან ერთს, ან მეორეს, ეგ წოდებები?!

— თუ საქართველოში ყოველი მეორე თუ არა, ყოველი მესამე აკადემიკოსია, მთავარი არხობა და უპირველესი გურმანობა, ალბათ, აღარ უნდა გვიკვირდეს...

— ის კი არა, მალე, ეტყობა, გენერალსიმუსებიც გამოჩნდებიან. როგორც ჩანს, საქართველოში თვითმარქვიობის ხანა მძვინვარებს.

— ასეა, ჩემო ბატონო, როცა ქვეყანაში სინდის-ნამუსის დეფიციტია და როცა ეს სინდის-ნამუსი დევალვაციაში გაძვალტყავებულ ლარს ეჯიბრება...

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ახალი დღის წესრიგი ძალაში შევიდა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მხარეთა მიერ შიდა პროცედურების დასრულების შედეგად, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების განახლებული დღის წესრიგი 2017-2020 წლებისათვის ოფიციალურად ამოქმედდა.

უწყების ცნობით, ახალი დღის წესრიგი უფრო მეტად ამბიციურია და საქართველოს აძლევს საშუალებას, რომ 2020 წლამდე მაქსიმალურად დაუახლოვდეს ევროკავშირის სტანდარტებს და ნორმებს.

„ასოცირების დღის წესრიგი საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ძირითადი განმახორციელებელი ინსტრუმენტია და მოიცავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის შეთანხმებულ კონკრეტულ პრიორიტეტებს, ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული თანამშრომლობის ყველა სფეროში.

საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ასოცირების დღის წესრიგის პირველი ფაზის, 2014-2016 წწ. პრიორიტეტების განხორციელების კუთხით. ქვეყნის მიერ ამ პერიოდში გატარებული ძირეული რეფორმები, რომლებმაც უზრუნველყო ქვეყნის პროგრესი და წინსვლა ღრმა პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციისკენ ევროკავშირთან, აღიარებული და პოზიტიურადაა შეფასებული ახალ დღის წესრიგში.

საქართველო-ბელარუსის ერთობლივი განცხადება

საქართველოს პარლამენტსა და ბელარუსის რესპუბლიკის ეროვნულ კრებას შორის გუშინ თანამშრომლობის შესახებ ერთობლივ განცხადებას მოეწერა ხელი.

განცხადებას ხელს ბელარუსში ოფიციალური ვიზიტით მყოფი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, ბელარუსის რესპუბლიკის ეროვნული კრების რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარე მიხაილ მიასნიკოვიჩი და ეროვნული კრების წარმომადგენლეთა პალატის თავმჯდომარე ვლადიმერ ანდრეიჩენკო აწერენ.

„შევთანხმდით, რომ ჩვენი შეხვედრები რეგულარულ ხასიათს მიიღებს. დაინტერესებულები ვართ, რომ გავაფართოვოთ ჰუმანიტარული კონტაქტები, ახალგაზრდებს შორის კავშირები, სამეცნიერო-ტექნოლოგიური, საგანმანათლებლო კონტაქტები. პარლამენტარები შექმნიან აუცილებელ, კომფორტულ პირობებს რათა ყველაფერი, რაზეც შევთანხმდით, განხორციელდეს“, — განაცხადა ბელარუსის რესპუბლიკის ეროვნული კრების რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარემ.

დოკუმენტში სხვადასხვა სფეროში ბელარუსულ-ქართული ურთიერთქმედების გაღრმავებაზე, აქტიურ საპარლამენტთაშორისო ურთიერთობასა და საპარლამენტო საქმიანობის გამოცდილების გაზიარებაზე, ერთობლივი ღონისძიებების გამართვაზე, რეგიონთაშორისო ორმხრივი ურთიერთობების გააქტიურებასა და საერთაშორისო საპარლამენტო ფორმატებში კავშირების განმტკიცებაზეა საუბარი.

„შევთანხმდით, რომ ჩვენი შეხვედრები რეგულარულ ხასიათს მიიღებს. დაინტერესებულები ვართ, რომ გავაფართოვოთ ჰუმანიტარული კონტაქტები, ახალგაზრდებს შორის კავშირები, სამეცნიერო-ტექნოლოგიური, საგანმანათლებლო კონტაქტები. პარლამენტარები შექმნიან აუცილებელ, კომფორტულ პირობებს, რათა ყველაფერი, რაზეც შევთანხმდით, განხორციელდეს“, — განაცხადა ბელარუსის რესპუბლიკის ეროვნული კრების რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარემ.

მიხაილ მიასნიკოვიჩის თქმით, ერთობლივი განცხადება ქართულ-ბელარუსული თანამშრომლობის გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

ნარჩენების მართვის მოწესრიგებასაც კი ევროკავშირი გვთხოვს!

თბილისის მერის კახა კალაძის განცხადებით, ნარჩენების მართვის ვალდებულება საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით აქვს ნაკისრი.

როგორც დედაქალაქის მერმა „თბილსერვის ჯგუფის“ ხელმძღვანელობასთან შეხვედრის შემდეგ აღნიშნა, ამ მიმართულებით რეფორმების განხორციელება აუცილებელია. **„ნარჩენების მართვის ვალდებულება ასოცირების ხელშეკრულებითაც გვაქვს ნაკისრი და ჩვენც იმ დონეზე ვართ მისული, რომ ამ კუთხით რეფორმების განხორციელება აუცილებელია. აუცილებელია, ნარჩენების სეპარირება განხორციელდეს. შესაბამისად, ყველაფერს გავაკეთებთ, იმისთვის, რომ ქვეყანაში არსებული მდგომარეობა შეიცვალოს და გამოსწორდეს. ლილოს ნაგავსაყრელი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია და იქ მცხოვრები ადამიანებისთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. შესაბამისად, გადავდგამთ კონკრეტულ ნაბიჯებს, რომ ეს პრობლემა მოგვარდეს“,** — განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერის მოადგილე მაია ბითაძემ კი აღნიშნა, რომ არსებობს კონკრეტულად გაწერილი გეგმა, თუ როგორ უნდა მოხდეს თბილისის ნაგავსაყრელის მოწესრიგება. **თბილისის მერი კახა კალაძე მაია ბითაძესთან ერთად, „თბილსერვის ჯგუფის“ ხელმძღვანელობას შეხვდა, თანამშრომლებს გაესაუბრა და სამუშაო პროცესს ადგილზე გაეცნო.**

სააკაშვილის დავალებით ხვრეტდნენ თუ არა აქციის მონაწილეებს ქართველი სნაიპერები?!

იტალიელმა ჟურნალისტებმა კიევის მაიდანზე მომხდარი დახვრეტების გამოძიებისას „ქართული კვალი“ აღმოაჩინეს. ერთ-ერთი მედიაჰოლდინგის — Mediaset-ის ტელეარხ Matrix-ის ეთერში გადაიცა 20-წუთიანი დოკუმენტური ფილმი „უკრაინა: დამალული ჭეშმარიტება“, რომელშიც გაზეთ Il Giornale-ს სამხედრო კორესპონდენტი ჯანი მიკალესინი ამტკიცებდა, რომ კიევის მაიდანზე, როცა წესრიგის დამცველებსა და დემონსტრანტებს შორის შეტაკება მოხდა, ორივე მხარეს პროფესიონალი სნაიპერები ესროდნენ. მათ ზურგს უკან იდგა არა უკრაინის იმდროინდელი პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი, არამედ საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. იტალიელმა ჟურნალისტმა სამი სნაიპერის გვარიც დაასახელა: ზალოგი კვარაცხელია, ალექსანდრე რევაზიშვილი და კობა ნერგაძე. ისინი კიევში თურმე მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით გაიგზავნენ. საინტერესოა, რომ იტალიელ ჟურნალისტთან საუბარში სნაიპერები თვითონვე აღიარებენ მაიდანზე ჩადენილ დანაშაულს.

ამის შესახებ რუსული რადიოსადგური „Радио Коммерсантъ FM“ იუწყება.

იტალიელების მომზადებულ ფილმში გამოყენებულია აგრეთვე ესტონეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის ურმას პაეტისა და ევროკავშირის საგარეო საქმეთა კომისრის ქეთრინ ეშტონის სატელეფონო საუბარი, რომელშიც გადმოცემულია ექიმების თვალსაზრისი, რომ პოლიციელები და აქციის მონაწილეები სნაიპერების მიერ იყვნენ მოკლულები. ეს სატელეფონო საუბარი ცნობილი ჯერ კიდევ 2014 წლის გაზაფხულზე გახდა. დაახლოებით იმ ხანებშივე გავრცელდა ინფორმაცია, რომ სნაიპერებს შორის შესაძლოა ქართველებიც იყვნენ. ამის შესახებ განაცხადა ქართველმა ოფიცერმა ტრისტან წითელაშვილმა. თუმცა, როგორც კიეველი პოლიტოლოგი ალექსანდრე სოლონტაი აცხადებს, იტალიელი ჟურნალისტის ვერსია მცდარია და არანაირი კავშირი არა აქვს სინამდვილესთან: „მე მაშინ, როცა დახვრეტა მოხდა, მაიდანზე ვიყავი, სასტუმრო „უკრაინასთან“, რომელიც ფილმშია ნახსენები. ვხედავდი, რომ ისროდნენ არა სასტუმროდან, არამედ „ოქტომბრის სასახლიდან“. ისინი „ბერკუტელები“ იყვნენ. იტალიელი ჟურნალისტის მტკიცება აბსურდულია“.

საინტერესოა, რომ ჰოლდინგი Mediaset იტალიის ყოფილ პრემიერ-მინისტრს სილვიო ბერლუსკონის საკუთრებას წარმოადგენს, რომელიც, თავის მხრივ, უკრაინის ხელისუფლებას „პერსონა ნონ-გრატად“ ჰყავს გამოცხადებული.

„ძალიან უცნაურია, რომ იტალიის ტელევიზიით ქართველი სნაიპერების შესახებ მასალა სწორედ ახლა გავრცელდა, ანუ იმ ფონზე, როცა უკრაინის პრეზიდენტს პეტრო პოროშენკოსა და საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს შორის ურთიერთობა უკიდურესად გამწვავდა“, — ამბობს პოლიტტექნოლოგი დიმიტრი ტულჩინსკი: **„მიხეილ სააკაშვილი ახლა უკრაინის მთავრობის კარის წინ დგას და დღე-დღეზე იქ უნდა შევიდეს, ამ დროს კი ასეთი მასალა ვრცელდება. შესაბამისად, ჩნდება აზრი, რომ ეს კარგად მოფიქრებული ფალსიფიცირებაა მიხეილ სააკაშვილის დისკრედიტირების მიზნით. ადრეც ბევრი ვერსია იყო, რომ სნაიპერები ვითომ რუსები იყვნენ, ვითომ ქართველები, მაგრამ არც ერთი არ დადასტურებულა. საჭიროა სერიოზული მტკიცებულებები იმ ადამიანებისაგან (უკრაინელი ისტებლიშმენტისაგან), ვინც ნდობას იმსახურებს“.**

◎ ნინო ბურჯანაძის პოზნერთან ინტერვიუს გამო

რუსეთუმე არა... კვატი!

ამ ჩანაწერს რაც შეიძლება მეტი ქართველი უნდა გაეცნოს!

ეს ჩანაწერი იუთუბიზე დაიდო: ნინო ბურჯანაძე სტუმრად პოზნერთან.

შეიძლება, არ მოგწონდეს ბურჯანაძის პიროვნება. ტრაგედია არ არის...

შეიძლება, არ მოგწონდეს მისი რიტორიკა, გამონათქვამები, შეფასებები (სხვათა შორის, ზოგჯერ მეც არ მოვსულვარ აღტაცებაში ამა თუ იმ გამონათქვამით)... და არც ეს არის გასაკვირი, კაცია და გუნება...

შეიძლება, არ მოგწონდეს ბურჯანაძე-პოლიტიკოსი. ესეც ბუნებრივია და უბედურება არ არის...

შეიძლება, არ მოგწონდეს ბურჯანაძის ვოიაჟები მოსკოვში (თუმც ის დასავლეთში უფრო ხშირად დადის). ესეც ადამიანის უფლებაა და ვერც ამაში ვხედავ საპანიკოს, დემოკრატიით რომ ამაყობს იმ ქვეყანაში...

მაგრამ აკრიტიკო, აგინო, ლანძღო, იქილიკო მისი, როგორც პოლიტიკოსის მიერ გადადგმული იმ ნაბიჯების გამო, მხოლოდ იმიტომ, რომ შენს თვალთახედვაში არ ჯდება ან არ მოგწონს, რბილად რომ ვთქვათ... არა არის კორექტულობა.

და ამ გინება-ლანძღვა-ბწკენა-ღრენაში არ დაინახო მისი, როგორც გაწონასწორებული პოლიტიკოსის გამოცდილება, ინტელექტი, გაბედულება, შორსმჭვრეტელობა... და იქილიკო მხოლოდ ზოგიერთ მის „გამონათქვამზე“, გადაწყვეტილებაზე, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია ამა თუ იმ კონკრეტულ მოვლენასთან და არ ითვალისწინებ იმ ნაბიჯის გამომწვევ მიზეზს, კონკრეტულ ვითარებას და დროს, ვერ არის მთლად რიგიანი პოზიცია...

ვიცი, ამ ჩემს მოსაზრებას გამოუჩნდებიან კრიტიკოსები და... ამისთვისაც მზად ვარ, მაგრამ თავს უფლებას მივცემ, ვუთხრა: ასე ადვილად რომ ჭრით და კერავთ, როგორი გამოცდილება გაქვთ, რომელიმე თქვენგანი ყოფილა ისეთ სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობაზე და მიგიღიათ ასეთი ან მისი მსგავსი გადაწყვეტილება? ანდა თქვენ როგორ მოიქცეოდით მსგავს შემთხვევაში? რაღაც არ შემხვედრია ვაი-ვუი და ვიშვიში იმ ადამიანების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, ვისაც იმ დროს და იმ ვითარებაში ბურჯანაძეზე მეტი გავლენა ჰქონდათ რეალობაში, მაგრამ ამჯობინებდნენ კულისებს, ჩრდილში ყოფნას..

საერთოდ, ადვილია, „ვინმე“ აკრიტიკო, განსაჯო, ჩაქოლო „ყველაფრის მცოდნის“ პოზიციიდან, მით უმეტეს, მაშინ, როცა არავინ არაფერს გეკითხება და არც არაფერზე პასუხს რომ არ აგებ... ჩვენს ქვეყანაში ასეთი „ისტერიკა“ მოსულა, როცა საქმე ეხება... ქვეყნის მართვას, ფეხბურთს და განათლების სისტემას.

არც ის მიკვირს, როცა მოქილიკეთა რიგებში ჭარბობს მდედრობითი სქესის „ენაკვიმატი“ ტიპაჟი, რომლისთვისაც სახელმწიფოებრივ საკითხებზე მსჯელობა არაფრით განსხვავდება ვარცხნილობის, ჩაცმულობის, მოდის, გემოვნების შესახებ საუბრებიდან, ისიც მხოლოდ და მხოლოდ მისეული გემოვნება-გაგებით. აი, ამ შემთხვევაში კი მართლა მეღიმება, რამეთუ ნინო ბურჯანაძე ამ მხრივ, განსხვავებით ყველა დროის „მაუზერიანი“ მდედრიდან და ახლანდელი კოხტაპრუწა მოდეპუტატო-მოტელეწამყვანო-მოენძელ-მოჩიორო ლამაზმანებიდან, ყოველთვის რჩება გარეგნულადაც ერთობ გემოვნებიან, ვითარების შესაბამისი ეტიკეტის მიმდევარ და დახვეწილ ქალბატონად გაგანია სიცხეში თუ, თქვენ წარმოიდგინეთ... 40-გრადუსიან ყინვაშიც.

რაც შეეხება მის გონიერებას, განსწავლულობას, პრინციპულობას, პოლიტიკურ ხედვას და პოლემიკურ ოსტატობას, ამის შესახებ ეს ინტერვიუც მეტყველებს, რომელიც მსოფლიო ჟურნალისტიკის ერთ-ერთმა მეტრმა ვლადიმერ პოზნერმა ჩამოართვა ქართველ ქალბატონს.

პოზნერმა, ინტელექტითა და გამოცდილებით, არაერთი პოლიტვარსკვლავის „დამარხვის“ დიდოსტატმა სერიოზული გამოცდა ჩაუტარა ბურჯანაძეს, იმდენად სერიოზული, რომ... ინტერვიუს „მსვლელობის“ მანძილზე არ მშორდებოდა შიშის გრძნობა, რომ, მიუხედავად პოზნერის ჯენტლმენობისა, როგორც ყველაზე მოკირკიტე, ყველაზე „ჩამჭრელი“, ყველაზე „ბომბარდირი“ ტელეჟურნალისტი მაინც გადმოაგდებდა რაიმე ისეთ „კოზირს“, რომ რაღაც დოზით „გაანითლებდა“ ბურჯანაძეს.

არ მოხდა ეს. პოზნერმაც ღირსეულად დააფასა ის, რომ ქვეტექსტებზე აგებულ მის შეტევებს ნინომ ვაჟკაცურად და გონიერებით გაუძლო! ნინო არ დამარცხდა!

და შეკითხვას, არის თუ არა ის ე.წ. „რუსეთუმე“, ისეთი პასუხი გასცა, რომ...

რუსეთუმე არა, კვატი!!!

ეს ხუმრობით. სერიოზულად კი მთავარი დასკვნა: ბურჯანაძემ მთელი რუსეთის, ამ ცენტრალური სახელმწიფო ტელეარხის ასეულმილიონობით ტელეაუდიტორიას ხმამაღლა, ხაზგასმით უთხრა: ის უწინარესად არის ქართველი(!) პოლიტიკოსი და მისთვის საქართველოს(!) ინტერესები არის ყველაზე მთავარი(!) და გადამწყვეტი!

და თუ ბოლომდე გულწრფელები დავრჩებით და გვეყოფა გაბედულება, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს „დიალოგი“ არის ეტალონური ღირებულების: პოლიტიკურად, ინტელექტუალურად, ჟურნალისტურად, ტელეგენიურობის თვალსაზრისითაც...

ეს „დითირამბები“ არ არის ინდულგენცია არც წარსულის და არც მომავლისთვის. ეს რეალური ფაქტის, რეალური მოვლენის კონსტანტაციაა, რომელიც არ ხსნის შეკითხვებს (თუნდაც ე.წ. „ლიდერთა საბჭოს“ შესახებ), მაგრამ განგაწყობს იმედით და პოზიტივით. ის ზრდის ბურჯანაძის და მისი ლიდერობით მოქმედი პარტიის პასუხისმგებლობას, თვითკრიტიკულ განწყობას და მატებს რწმენას საკუთარ ელექტორატს. მხოლოდ ეს გზაა პერსპექტული, რომელიც გამორიცხავს წივილ-კივილს და ზღვარგადასულ იარლიყებს.

უპრიანი იქნება, თუ ამ ჩანაწერს გაეცნობა რაც შეიძლება მეტი ქართველი პოლიტიკოსი, ბურჯანაძის რაც შეიძლება მეტი კრიტიკოსი... და თუ არსებობს პოლიტიკური სინდისი (არა მარტო), ნამდვილი პოლიტიკური ობიექტურობა (არამარტო) ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ ეს ინტერვიუ კი არ უნდა დაგმოს (როგორც ადრე ზოგიერთ ვიზიტთან დაკავშირებით მოხდა), არამედ უნდა მოიწონოს.



პირადად მე — ვამაყობ!

ნუგზარ ფოფხაძე

ამერიკიდან იარაღის შესყიდვა რეგიონში ძალთა ბალანსს არ არღვევს!

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოსთვის ანტისატანკო სარაკეტო კომპლექსების Javelin-ის გადაცემის გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა. ინფორმაციას აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი თავდაცვისა და უსაფრთხოების თანამშრომლობის სააგენტო ავრცელებს. საუბარია ტექნიკაზე, რომლის ღირებულებაც 75 მილიონ დოლარს აღწევს. გადაწყვეტილება უკვე გააცნეს კონგრესს.

როგორც განცხადებაშია ხაზგასმული, ამ იარაღის მიწოდება აშშ-ის საგარეო პოლიტიკური კურსსა და ეროვნულ უსაფრთხოებას განამტკიცებს, საქართველოს უსაფრთხოების გაძლიერების გზით. აშშ-ის თავდაცვის უწყებაში ხაზს უსვამენ, რომ ამ შეიარაღების საქართველოსთვის გადაცემა რეგიონში არსებულ ძალთა ბალანსს არ დაარღვევს. **„საქართველოს მთავრობამ მოითხოვა ანტისარაკეტო კომპლექს Javelin-ის 410 რაკეტის, 72 სამიზნე-გამშვები ბლოკის, 10 სასწავლო კომპლექსისა და 70 ჭურვის შეძენა. ამასთან, აშშ-ის მთავრობა მზადაა, საქართველოში ტექნიკის ტრანსპორტირება და მისი ტექნიკური მომსახურება უზრუნველყოს“,** — ნათქვამია განცხადებაში.

ოკუპირებული სამხრეთ ოსეთი გიორგობა დღეს ე.წ. საზღვარს კეტავს

ოკუპირებული სამხრეთ ოსეთი რამდენიმე დღით ე.წ. საზღვარს კეტავს. ინფორმაციას ამის შესახებ ცხინვალის ე.წ. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პრესსამსახური ავრცელებს.

მიზეზად 23 ნოემბერს რეგიონში დაგეგმილი სადღესასწაულო ღონისძიებები სახელდება, რომელიც „ვაჟკაცობისა და სახალხო ერთიანობის“ დღეს უკავშირდება. ე.წ. საზღვარი 24 ნოემბერს საღამოს უნდა აღდგეს.

მუსტაფა ემრე ჩაბუქი: ჩემამდე ვინც დემირელის კოლეჯის მენეჯერი იყო და თურქეთში დაბრუნდა, ყველა ციხეშია!!!

„თურქეთს არ ვენდობი და არ მჯერა, რომ სასამართლო სამართლიანი იქნება“, — ამის შესახებ დემირელის კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერმა მუსტაფა ემრე ჩაბუქმა გუშინ თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესზე განაცხადა. სასამართლო ჩაბუქისთვის და მისი ოჯახისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭების საკითხს განიხილავს...

მდინარე ყვირილაზე ახალი სახიდე გადასასვლელი შენდება

საავტომობილო გზების დეპარტამენტი შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზესტაფონი-ბაღდათის საავტომობილო გზის მე-3 კმ-ზე მდ. ყვირილაზე ახალი სახიდე გადასასვლელის სამშენებლო სამუშაოებს ახორციელებს.

საქართველოს მასშტაბით 2017 წლის ბოლომდე დაგეგმილია 31 ხიდის რეაბილიტაცია და 16 ახალი ხიდის მშენებლობა. იმერეთის რეგიონში 2017 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა 11 სახიდე გადასასვლელს, დღეის მონაცემებით უკვე დასრულებულია 8 ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 6 000 000 ლარს შეადგენს. სამუშაოები 2017 წლის მარტში დაიწყო და 2018 წლის გაზაფხულზე დასრულდება. ამ ეტაპზე დასაქმებულია 25 ადამიანი.

ადამისდროინდელი პოლიტიკით

ვერ ავაშენებთ XXI საუკუნის ეკონომიკას!

ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის დაკნინება ბადებს მრავალ პრობლემას. სტატიაში განხილულია, თუ როგორ აისახა სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების დაკნინება ჩვენს ეკონომიკურ რეალობაზე და რატომ არის აუცილებელი მისი როლის მკვეთრად გაზრდა.

ჩვენთან ეკონომიკური პოლიტიკა მორგებულია მეწარმის თვალით დანახულ ეკონომიკურ პროცესებზე. ეს არის ცალმხრივი, მიკერძოებული და ზედაპირული ხედვა. სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს სახელმწიფოებრივ ხედვას, ანუ დაბალანსებულ, სისტემურ ხედვას.

რაშია განსხვავება ამ ორ ხედვას შორის და რას გულისხმობს სისტემური ხედვა?

პოლიტიკოსები მთავარ პრობლემად მიიჩნევენ **წარმოებას,** და სათანადოდ ვერ აცნობიერებენ **განაწილების** მნიშვნელობას. მაგრამ, ეროვნული პროდუქტის წარმოება და ეროვნული შემოსავლის განაწილება ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული პროცესებია. ეკონომიკურ პოლიტიკაში ამის გაუთვალისწინებლობამ წარმოშვა შიდასისტემური პრობლემები და ეკონომიკა აღმოჩნდა ჩიხში. ეკონომიკაში გაჩნდა დისბალანსი პროდუქციის წამოებასა და შემოსავლების განაწილებას შორის. ეს ბადებს არაჯანსაღ პროცესებს ეკონომიკაში. საქმე იმაშია, რომ თვით ეროვნული პროდუქტის წარმოების პროცესში იქმნება ეკვივალენტური ღირებულების ის ეროვნული შემოსავალი, რომლითაც ეს პროდუქტი უნდა იქნას შესყიდული. მაგრამ, თუ ეს შემოსავლები ნაწილდება უკიდურესად უთანაბროდ, მაშინ ერთობლივი საბაზრო მოთხოვნა მცირდება. ეს კი, როგორც ცნობილია, არის ეკონომიკური ვარდნის მთავარი მიზეზი.

მაინც, რატომ იწვევს შემოსავლების უთანაბრობა საბაზრო მოთხოვნის დასუსტებას? იმიტომ, რომ მაღალი შემოსავლების მქონე პირები თავისი შემოსავლების დიდ ნაწილს არ ხარჯავენ ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის შესაძენად. ამის ნაცვლად ისინი ყიდულობენ უძრავ ქონებას, ფასიან ქაღალდებს, იმპორტულ საქონელს, გააქვთ ოფშორებში. მათი შემოსავლების დიდი ნაწილი არ ბრუნდება წარმოების სფეროში. ხოლო ღარიბი უმრავლესობის შემოსავლები არ ყოფნის ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის მთლიანად შესყიდვას. საქონელი რჩება გაუყიდავი. თუ სახელმწიფო არ დაიწყებს შემოსავლების გადანაწილებას საბიუჯეტო სისტემის მეშვეობით, წარმოება დაიბლოკება, ანუ რეფორმატორები არ ითვალისწინებენ ელემენტარულ ჭეშმარიტებას, რომ პროდუქცია იწარმოება საზოგადოებისთვის, და თუ საზოგადოების უმრავლესობას არ ექნება ფული, პროდუქცია ვერ გაიყიდება და ეკონომიკა ვერ განვითარდება.

მოვიყვან კონკრეტულ მაგალითებს, თუ რაში ვლინდება პროცესების არასისტემური ხედვა ეკონომიკურ პოლიტიკაში. სახელმწიფომ მეწარმეებს დაუწესა დაბალი გადასახადები, რათა მათ დარჩეთ მეტი შემოსავლები, იმ მოტივით, რომ ისინი ქმნიან სამუშაო ადგილებს. ეს არის ცალმხრივი ხედვა. სამუშაო ადგილებსაც და თვითონ მეწარმეებსაც ქმნის საბაზრო მოთხოვნა. ისევე როგორც მოთხოვნას ქმნიან სამუშაო ადგილები, ანუ წარმოება და შემოსავლები (შესაბამისად, საბაზრო მოთხოვნაც) დამოკიდებული არიან ერთმანეთზე. თუ დაირღვევა მათ შორის ბალანსი, ეკონომიკა შეფერხდება.

ამ ბალანსის ძიება იყო და რჩება განვითარებული ქვეყნების მთავარი პრობლემა, დაწყებული 30-იანი წლების „დიდი დეპრესიიდან“, მთელი მე-20 საუკუნე ვიდრე დღემდე. წარმოების და მოთხოვნის შესაბამისობაში მოყვანა (სხვადასხვა გზებით) იყო მთავარი მიზანი, როგორც კეინსიანური, ისე მონეტარისტური პოლიტიკისა. საბოლოო ჯამში, სწორედ ამ ბალანსის შენარჩუნების აუცილებლობამ წარმოშვა განვითარებულ ქვეყნებში „კეთილდღეობის ეკონომიკა“, სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკური მოდელი და, შესაბამისად, სახელმწიფო სექტორის მკვეთრი ზრდა. სწორედ ამის შედეგად გაიზარდა მკვეთრად სახელმწიფო სექტორი განვითარებულ ქვეყნებში და დღეისათვის მიაღწია ეკონომიკის 40-50%-ს და მეტს.

დღეს ეს ბალანსი წარმოებასა და საბაზრო მოთხოვნას შორის დარღვეულია საქართველოში. მაგრამ, ევროპელებისგან განსხვავებით, ქართველი რეფორმატორები ამ პრობლემაზე რატომღაც რეაგირებენ საპირისპირო პოლიტიკით, ანუ სრულიად ირაციონალურად. რეაგირებენ საელმწიფოს ეკონომიკური როლის დაკნინებით, და არა გაძლირებით. ამიტომაც ვერ გამოვდივართ სტაგნაციის მდგომარეობიდან.

საქართველოს ეკონომიკაში მთავარი პრობლემა არის მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითი უნარი. ეკონომიკურ ზრდას აფერხებს არა ის, რომ მეწარმეებს არა აქვთ ფული, არამედ ის, რომ ფული არა აქვს საზოგადოებას. დაბალია საბაზრო მოთხოვნა. თუ მოთხოვნა გაიზრდება, მაშინ გაჩნდება მომგებიანი საინვესტიციო პროექტები. მეწარმეები შეძლებენ ამ პროექტების დაფინანსებას საბანკო კრედიტებით. ასე ხდება მთელ მსოფლიოში. ხოლო თუ მოთხოვნა არ გაიზარდა, მეწარმეები ვერ შექმნიან სამუშაო ადგილებს. ამას ვერ უშველის დაბალი გადასახადები.

საქართველოში საჭიროა შემოსავლების გადანაწილება და საშუალო ფენის შექმნა. ეს არის მოთხოვნის ზრდის მთავარი გარანტია. მაგალითისთვის, როდესაც „დიდი დეპრესიის“ შედეგად ამერიკის ეკონომიკაში წარმოიშვა ანოლოგიური პრობლემა და მკვეთრად დაეცა საბაზრო მოთხოვნა, რუზველტის ადმინისტრაციამ, პროგრესული დაბეგვრის პირობებში, შემოსავლებზე მაქსიმალური გადასახადი გაზარდა 24-დან ჯერ 63%-მდე, შემდეგ 79%-მდე, ხოლო 1950-იან წლებში მიაღწია 91%-ს. კორპორაციების მოგებაზე გადასახადი გაიზარდა 14-დან 45%-მდე. ამის შედეგად საშუალო ფენა აშშ-ში შეიქმნა სულ რამდენიმე წელიწადში და ეკონომიკამ დაიწყო სწრაფი განვითარება.

სრულიად მიუღებელია ის, რაც ხდება საქართველოში. შემოსავლების უკიდურესი პოლარიზაციის პირობებში, არა თუ არ გვაქვს პროგრესული დაბეგვრა (კოდექსი ითვალისწინებს პროპორციულ გადასახადებს), ფაქტიურად ადგილი აქვს რეგრესულ დაბეგვრას, რადგან გადასახადი ხელფასზე არის 20%, ხოლო პროცენტებზე და დივიდენდებზე (ანუ, მდიდარი უმცირესობის ძირითად შემოსავლებზე, თანაც არაშრომით შემოსავლებზე) – 5%. ანუ, ფარულად საგადასახადო ტვირთი „აკიდებულია“ დაბალშემოსავლიან უმრავლესობაზე და არა მდიდარ უმცირესობაზე. ეს სრული აბსურდია წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით, რომ არაფერი ვთქვათ სოციალურ უსამართლობაზე. ამიტომ რთულდება საბიუჯეტო სახსრების მობილიზება.

მცირე ბიუჯეტის პირობებში სახელმწიფო ვერ ახდენს შემოსავლების გადანაწილებას, ვერ ზრდის პენსიებს, შემწეობებს, მასწავლებლების და ექიმების ხელფასებს. იგი მიიჩნევს, რომ პენსიების და შემწეობების თუნდაც 10-ლარიანი ზრდა საჭიროებს დიდ თანხებს – 100 მლნ. ლარზე მეტს. მაგრამ 10 ლარი პრაქტიკულად ვერ გააუმჯობესებს პენსიონერის მდგომარეობას, ანუ 100 მლნ. ლარი დაიხარჯება არაეფექტურად. ამიტომ ამ თანხას იყენებენ სხვა მიზნებისთვის.

ეს მოსაზრებაც გამომდინარეობს არასისტემური ხედვიდან. 100 მლნ ლარის მთავარი ეფექტი არ არის პენსიის 10-ლარიანი ზრდა. 10 ლარი მართლაც ვერ შეამსუბუქებს პენსიონერების სიდუხჭირეს. მთავარია, მაკროეკონომიკური ეფექტი. 100 მლნ. ლარი აღმოჩნდება იმ ადამიანების ხელში, რომლებიც ამ ფულს მთლიანად გაიტანენ ბაზარზე. გაიზრდება ერთობლივი მოთხოვნა. ეს გამოიწვევს წარმოების ზრდას და აამოქმედებს ე.წ. „წარმოების და შემოსავლების სპირალს“. ამასთან, მულტიპლიკაციის ეფექტის გამო, მშპ გაიზრდება უფრო მეტად (მართალია, მულტიპლიკაციის კოეფიციენტი საქართველოში არც ისე მაღალია, მაგრამ წარმოების განვითარებასთან ერთად ისიც გაიზრდება.) ამიტომ საჭიროა არა 10 ლარით, არამედ გაცილებით მეტად გაიზარდოს პენსიები, შემწეობები, მასწავლებლების და ექიმების ხელფასები და ამისათვის საბიუჯეტო სახსრების მობილიზება მოხდეს შემოსავლების მკვეთრად პროგრესული გადასახადებით. ამის შედეგი იქნება ის, რომ მდიდარი ფენის შემოსავლების ის ნაწილი, რომელიც დღეს არ ბრუნდება წარმოებაში, აღმოჩნდება იმ ადამიანების ხელში, რომლებიც ამ ფულს მთლიანად დააბრუნებენ ეროვნულ წარმოებაში. ამის გაკეთება შეუძლია მხოლოდ სახელმწიფოს. ეს არის აუცილებელი პირობა იმისა, რომ ეკონომიკამ დაიწყოს სწრაფი განვითარება. მაგრამ ეს არ არის საკმარისი. აგრეთვე აუცილებელია სავაჭრო დეფიციტისგან განთავისუფლება.

გლობალიზაციის პირობებში ქვეყნებს შორის იშლება ეკონომიკური საზღვრები. ქვეყნის შიდა ბაზარი ხდება მსოფლიო ბაზრის ნაწილი. ნებისმიერ კომპანიას შეუძლია ეროვნულ ბაზარზე შემოსვლა. ამის შედეგად საქართველოში იმპორტი სრაფად გაიზარდა (იგი შეადგენს მშპ-ს 50%-ს) და წარმოშვა დიდი სავაჭრო დეფიციტი (36%). ეროვნული ეკონომიკისთის ეს არის „ღია ჭრილობა“, საიდანაც ქვეყნიდან უწყვეტად გაედინება ქვეყანაში შექმილი მსყიდველობითი უნარი და ასუსტებს ეკონომიკას. აქაც გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს სახელმწიფომ. მან უნდა გაატაროს „იმპორტის ჩანაცვლების“ და ექსპორტის წახალისების პოლიტიკა. ასეთი პოლიტიკა აუცილებელია ეკონომიკის სწრაფი განვითრებისთვის, მაგრამ არც ეს არის საკმარისი.

ღია საზღვრების გამო გამძაფრდა კონკურენცია ადგილობრივ და უცხოელ კომპანიებს შორის. ასეთ კონკურენციაში მონაწილეობა შეუძლია მხოლოდ მსხვილ ბიზნესს. ამიტომ, ეროვნული ბაზარი მთლიანად განაწილებულია მსხვილ ბიზნესსა და იმპორტიორებს შორის. მცირე და საშუალო ბიზნესს თითქმის არა აქვს შანსი, დაიკავოს ბაზარზე ადგილი. სასიცოცხლოდ აუცილებელია, რომ სახელმწიფო ჩაერიოს ეკონომიკურ პროცესებში, გაატაროს ანტიმონოპოლიური პოლიტიკა, დაიცვას მცირე და საშუალო ბიზნესი.

სტიქიურად მოქმედი საბაზრო ძალები ზრდიან უთანაბრობას მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის. თუ მზარდი გლობალური პოლარიზაციის პირობებში სახელმწიფო ყველაფერს მიანდობს საბაზრო ძალებს და არ ჩაერევა ეკონომიკურ პროცესებში, მაშინ საქართველო დარჩება ღარიბი ქვეყნების რიგებში. ქვეყნის შიგნითაც უფრო მეტად გაიზრდება ეკონომიკის მონოპოლიზება და უთანაბრობა. ეს უფრო მეტად შეაფერხებს საქართველოში ეკონომიკურ ზრდას.

მაგრამ რატომ არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მცირე და საშუალო ბიზნესის დაცვა? არა იმიტომ, რომ ისინი აწარმოებენ ეროვნული პროდუქტის დიდ ნაწილს. მათი წილი წარმოებაში საკმაოდ მოკრძალებულია. მთავარი სხვაა. განვითარებულ ქვეყნებში, მცირე და საშუალო ბიზნესზე მოდის ქვეყნის სამუშაო ადგილების თითქმის 70%. ერთი და იგივე თანხის ინვესტირება მცირე და საშუალო ბიზნესში ქმნის მეტ სამუშაო ადგილებს, ვიდრე იგივე თანხის ინვესტირება მსხვილ ბიზნესში. ეს კი ნიშნავს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესზე დიდად არის დამოკიდებული საშუალო ფენის შექმნა, მათი შემოსავლებისა და მსყიდველობითი უნარის ზრდა. ამიტომ, მცირე ბიზნესზე დიდად არის დამოკიდებული ერთობლივი მოთხოვნის ზრდა. ეს კი, თავის მხრივ, არის ეკონომიკური ზრდის მთავარი ფაქტორი.

კონკურენცია თვითონ ბადებს მონოპოლიებს და ეკონომიკურ უთანაბრობას. ნეოლიბერალური პოლიტიკის შედეგად ეს უთანაბრობა სულ უფრო იზრდება როგორც ქვეყნების შიგნით, ისე ქვეყნებს შორის. სტატისტიკა შოკის მომგვრელია. საერთაშორისო ორგანიზაცია OXFAM-

ის მონაცემებით, კაცობრიობის 1% ფლობს იმდენ სიმდიდრეს, რასაც კაცობრიობის დანარჩენი 99%. მსოფლიოს 85 უმდიდრესი ადამიანი ფლობს იმდენ სიმდიდრეს, რასაც მსოფლიოს 3,5 მილიარდი ღარიბი ადამიანი. ნეოლიბერალურმა პოლიტიკამ აგრეთვე გამოიწვია უთანაბრობის მკვეთრი ზრდა ქვეყნების შიგნით. ეს გახდა თანამედროვე ეკონომიკის ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორი (რომ არაფერი ვთქვათ სოციალურ უსამართლობაზე და პოლიტიკურ არასტაბილურობაზე, რაც, თავის მხრივ, ბუმერანგივით უბრუნდება ისევ ეკონომიკას დამატებითი სირთულეებით.)

შემოსავლებისა და სიმდიდრის პოლარიზაციის პრობლემა მთელ მსოფლიოში მოექცა მეცნიერების ყურადღების ცენტრში განსაკუთრებით 2008 წლის კრიზისის შემდეგ. ამაზე ბევრს წერენ დასავლეთის ცნობილი ეკონომისტები, მათ შორის ნობელის პრემიის ლაურეატები ჯ. სტიგლიცი, პ. კრუგმანი და სხვ., სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის ექსპერტები. ამის შესახებ განაცხადა სავალუტო ფონდის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა კრისტინა ლაგარდმა დავოსის ფორუმზე და სხვ.

სტიქიურად მოქმედი საბაზრო ძალები ზრდიან უთანაბრობას მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის. თუ მზარდი გლობალური პოლარიზაციის პირობებში სახელმწიფო ყველაფერს მიანდობს საბაზრო ძალებს და არ ჩაერევა ეკონომიკურ პროცესებში, მაშინ საქართველო დარჩება ღარიბი ქვეყნების რიგებში. ქვეყნის შიგნითაც უფრო მეტად გაიზრდება ეკონომიკის მონოპოლიზება და უთანაბრობა. ეს უფრო მეტად შეაფერხებს საქართველოში ეკონომიკურ ზრდას.

ქართველი რეფორმატორები არ ითვალისწინებენ, რომ სახელმწიფოს ჩაურევლობა საბაზრო ეკონომიკაში ხელს უწყობს კონკურენციას მხოლოდ მაშინ, თუ თვითონ ბაზარი არის კონკურენტული. ასე იყო ადამ სმიტის ეპოქაში და მაშინ ჩაურევლობის პოლიტიკა აღმოჩნდა წარმატებული. მაგრამ მონოპოლიზებულ ეკონომიკაში ადამის დროინდელი პოლიტიკა ბადებს საპირისპირო შედეგს. სახელმწიფოს ჩაურევლობა ახშობს კონკურენციას, რადგან ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გარეშე თვითონ მონოპოლიები ახშობენ მცირე და საშუალო ბიზნესს, რომელთანაც ასოცირდება კონკურენცია. სწორედ ეს ხდება საქართველოში.

მართალია, სუსტი მოთხოვნის პირობებში კომერციული ბანკები იწყებენ მოთხოვნის ხელოვნურ სტიმულირებას სამომხმარებლო და იპოთეკური კრედიტებით, საკრედიტო ბარათებით და ა.შ., მაგრამ ასეთი საკრედიტო ექსპანსია მხოლოდ დროებით უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას. ადრე თუ გვიან ეს მთავრდება ღრმა კრიზისით, რადგან კრედიტების მასობრივი ზრდა წარმოშობს საფინანსო ბუშტს, რომელიც ადვილად სკდება და ბადებს კრიზისს. ასე წარმოიშვა „დიდი დეპრესიაც“ გასულ საუკუნეში, 2008 წლის მსოფლიო კრიზისიც, 90-იანი წლების კრიზისი იაპონიაში და მრავალი სხვა კრიზისი. რაც უფრო დიდხანს გრძელდება მოთხოვნის დაკრედიტება და კრიზისის ხელოვნური გადავადება, მით უფრო მეტად იზრდება საფინანსო ბუშტიც და უფრო ღრმა იქნება მომავალი კრიზისიც. ანუ საბაზრო მოთხოვნის სტიმულირება საბანკო კრედიტებით არ შველის შემოსავლების პოლარიზაციით გამოწვეულ ეკონომიკურ დისფუნქციას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე დასკვნა ასეთია: ეკონომიკური პოლიტიკა ვერ იქნება წარმატებული, თუ არ გითვალისწინებს ელემენტარულ ჭეშმარიტებას: ეკონომიკაში პროდუქცია იქმნება საზოგადოებისთვის. და თუ საზოგადოების უმრავლესობას არ ექნება საკმარისი შემოსავალი, პროდუქცია ვერ გაიყიდება და დაიწყება სტაგნაცია.

მონოპოლიზაციის პირობებში საბაზრო ეკონომიკა ბადებს უკიდურეს შეუსაბამობას პროდუქციის წარმოებასა და შემოსავლების განაწილებას შორის. სახელმწიფოს ფუნქციაა, აღადგინოს დარღვეული ბალანსი. და ეროვნული შემოსავალის ის ნაწილი, რომელიც დღეს ხმარდება ოლიგარქების გამდიდრებას და ფუფუნებას, გადაანაწილოს იმ სოციალურ ფენებზე, ვისთვისაც ეს სახსრები გახდება ელემენტარული საარსებო წყარო. ამას გვკარნახობს ეკონომიკური ლოგიკაც და ადამიანური მორალიც. საჭიროა მკვეთრად გაიზარდოს სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს: 1. შემოსავლების გადანაწილება: პენსიების, შემწეობების, მასწავლებლებისა და ექიმების ხელფასების მკვეთრი ზრდა, განათლების, ჯანდაცვის სისტემების და სხვა სოციალური პროგრამების პრიორიტეტული დაფინანსება; 2. მკვეთრად პროგრესული საგადასახადო სისტემა; 3. ანტიმონოპოლიური პოლიტიკა; 4. იმპორტის ჩანაცვლების და ექსპორტის წახალისების პოლიტიკა; 5. რეგულაციები საბანკო კრედიტების მიზნობრიობაზე მათი ბიზნეს-ინვესტიციებზე და არა სამომხმარებლო მიზნებზე წარმართვის მიზნით და ა.შ. ეკონომიკური პოლიტიკების ეს არასრული ჩამონათვალიც კი, ასეთ კომბინაციაში, საკმაოდ სწრაფად გამოიყვანდა ეკონომიკას სტაგნაციიდან, მაგრამ ასეთი პოლიტიკა, ფაქტობრივად, არის იმის საპირისპირო, რაც ტარდება დღეს.

ეკონომიკა იმდენად დიდი ხანია, იმყოფება ჩიხში, რომ სიღარიბემ უკვე წარმოშვა სერიოზული საფრთხის შემცველი დემოგრაფიული პროცესები. ეს უკვე არის ქართველი ერისთვის ეგზისტენციალური პრობლემა, მაგრამ იქამდე, სანამ ეკონომიკური ძალაუფლება და, ფაქტობრივად, პოლიტიკური ძალაუფლებაც, არის ოლიგარქების ხელში, გულუბრყვილობა იქნებოდა რაიმე რადიკალური ცვლილებების მოლოდინი, რადგან სწორედ არსებული პოლიტიკა არის მათი გამდიდრების წყარო. რასაც ისინი თავისი ნებით არასოდეს დასთმობენ, თუ საზოგადოებამ არ აიძულა! და სანამ ეს მოხდება, რეფორმები დარჩება კოსმეტიკური ხასიათის და მათი მიზანი იქნება არა რეფორმა, არამედ მისი ილუზიის შექმნა (საკადრო ცვლილებები, საკონსტიტუციო განხილვები, სატელევიზიო თოქ-შოუები, ხმაურიანი პროცესები, და ა.შ.), მაგრამ მთავარს, შემოსავლების გადანაწილებას, ისინი არასოდეს დასთმობენ. ამიტომ ეკონომიკური გარდაქმნების დაწყება შესაძლებელი გახდება მხოლოდ პოლიტიკური გარდაქმნების შემდეგ.

პაატა ლეიაშვილი,
პროფესორი

P. S. სლოგანი „ვაშენებთ საბაზრო ეკონომიკას“ ადეკვატურად არ გამოხატავს ჩვენი რეფორმების მიზანს. დღეს თითქმის ყველა ქვეყანაში, მცირე გამონაკლისის გარდა, არის საბაზრო ეკონომიკა. მაგრამ ცხადია, ჩვენ გვინდა სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა, ანუ საბაზრო ეკონომიკა, როგორიც არის ევროპის განვითარებულ ქვეყნებში, და არა ისეთი, როგორიც არის აფრიკის რომელიმე ჩამორჩენილ ქვეყანაში. მაგრამ განვითარებულ ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორი შეადგენს 40-50%. ხოლო კერძო სექტორის უდიდესი ნაწილი მონოპოლიზებულია. ეს არის ე.წ. „შერეული ეკონომიკა“, სადაც უფრო დიდია (სახელმწიფო და კერძო მონოპოლიური სტრუქტურებით) რეგულირებადი სექტორი, ვიდრე კონკურენტული სექტორი. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ამის შესახებ წერდა ცნობილი ეკონომისტი ჯონ გელბრეიტი. და მის შემდეგ ეს ტენდენციები უფრო გაძლიერდა.

ხოლო ტერმინი „საბაზრო ეკონომიკა“ ასოცირდება შეუზღუდავ კონკურენციასთან და ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩაურევლობასთან. სწორედ ასეთი სტერეოტიპი უდევს საფუძვლად საქართველოში ლიბერალურ ეკონომიკურ პოლიტიკას. მაგრამ ფაქტობრივად, ასეთი პოლიტიკის შედეგად, კონკურენტული ეკონომიკის ნაცვლად მივიღეთ უკიდურესად მონოპოლიზებული ეკონომიკა, ანუ გვინდა თანამედროვე, სოციალურად ორიენტირებული, შერეული საბაზრო ეკონომიკის აშენება, დეკლარირებული გვაქვს კონკურენტული საბაზრო ეკონომიკის მშენებლობა, ხოლო ფაქტობრივად ავაშენეთ უკიდურესად მონოპოლიზებული ეკონომიკა. ერთს ვფიქრობთ, მეორეს ვამბობთ და მესამეს ვაკეთებთ. ეს არის სრული ბაკქანალია. და ასეთი რეფორმებით ვერ გამოვალთ მძიმე მდგომარეობიდან. საჭიროა ნათლად ითქვას, რომ ვაშენებთ „სოციალურად ორიენტირებულ ეკონომიკას“, და არა „საბაზრო ეკონომიკას“, რომელიც იწვევს დეზორიენტაციას როგორც საზოგადოებაში, ისე რეფორმატორებში.

პ. ლ.

საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც მოსახლეობა ღარიბდება, ბანკები კი უზომოდ მდიდრდებიან

მხოლოდ წარმოების ზრდა თუ გვიშველის!

ჯერ კიდევ 2015 წელს, გაუფასურებული ლარის კვალდაკვალ, ხელისუფლება „საბოტაჟნიკების“ ძებნას შეუდგა. მაშინდელმა ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ რამდენჯერმე გააკეთა მინიშნება ლარის გაუფასურების პროცესში ორი უმსხვილესი ბანკის შესაძლო მონაწილეობასთან დაკავშირებით...

არც 2016 წელს ულხინდა ლარს. იმ პერიოდში ვარაუდობდნენ, რომ ძალიან მალე ერთი ამერიკული დოლარი სამ ლარს გაუტოლდებოდა, მაგრამ სკეპტიკოსთა ეჭვების საწინააღმდეგოდ, მძიმე მდგომარეობიდან ლარი სასწაულებრივად გამოვიდა, ანუ დაღმასვლის შემდეგ აღმასვლა დაიწყო. თუმცა იმთავითვე კითხვა კითხვად დარჩა: ვინ ისარგებლა ლარის ორივე მდგომარეობით, როგორც მისი დევალვაციით, ისე უეცარი გამყარებით?

ანალოგიური კითხვები დღესაც არ მოხსნილა. პირიქით, ეჭვები მძაფრდება, რადგან აშკარაა, ამ პროცესით ვიღაც ხელს ითბობს. ამ საკითხების შესახებ For.ge-ს ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში პაატა აროშიძე ესაუბრა.

— გასულ წელთან მიმართებით პარალელები აშკარაა. შარშან ერთ-ერთი საკრედიტო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა არც დამალა, ლარის გაუფასურებით კოლოსალური მოგება მივიღეთო. იმ ფაქტმა, რომ კრედიტის გამცემმა ორგანიზაციებმა მიიღეს ყველაზე დიდი მოგება, გააჩინა ეჭვი, რომ ლარის დევალვაცია მომავალშიც წინასწარ მართული პროცესი იქნებოდა. მართალია, შარშან გაუფასურება დეკემბერში დაიწყო და პიკს 21 დეკემბერს მიაღწია, მაგრამ წლეულს უკვე არჩევნების შემდეგ, ოქტომბრიდან დაიწყო ლარმა გაუფასურება. რა უნდა გაკეთდეს ქვეყანაში, რომ ჩვენი ეროვნული ვალუტა ცალკეული სუბიექტების მართვის ობიექტი არ გახდეს სამომავლოდ?

— საწყის ეტაპზე, როცა დაიწყო ლარის დევალვაცია, ანუ, პრაქტიკულად, არჩევნების მეორე დღესვე, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გამოვიდა და განაცხადა, რომ არანაირ კომენტარს არ გააკეთებდა იმ რყევებზე, რომელიც მახასიათებელი იყო ყველა ვალუტისთვის და ქართული ვალუტაც არ იყო გამონაკლისი. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ გუშინწინ ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა დაიბარეს ჯერ „ქართული ოცნების“ ოფისში, შემდეგ კი პარლამენტში არიან ისინი დაბარებულნი. ეს ნიშნავს, რომ პრობლემა ჩარჩოებიდან გავიდა. ამ დროს ეროვნული ბანკის მესვეურები ირწმუნებოდნენ, ჩვენ პრობლემა არ გვაქვს, ლარის კურსთან მიმართებით ჩვეულებრივი პროცესი მიმდინარეობსო.

— თუკი ლარის დევალვაციას ეკონომიკური საფუძველი არა აქვს, მაშინ, აშკარაა, ვიღაც ამ ბაზარზე დაუშვებელი წესებით თამაშობს.

— კი ბატონო, ეს ასეა, რადგან, როცა ეკონომიკური მიმართულების ექსპერტები ამბობენ, რომ მაკროეკონომიკური პარამეტრები რიგზეა, საგარეო ფაქტორები არანაირ გავლენას არ ახდენს ჩვენს ეროვნულ ვალუტაზე და ამ დროს ლარი მაინც უფასურდება, გამოდის, რომ რაღაც ისე არ არის. აქ საუბარია ბლუმბერგის სისტემის გაუმართაობაზე, ასევე, საუბარია თვითონ ბანკების მოთხოვნაზე. მართლაც, ექსპორტ-იმპორტის მონაცემები და სხვა მონაცემებიც თითქოს რიგზეა და რა მიმართულებითაც იყო ეს მონაცემები, ისეთივე მიმართულებითაა. უფრო მეტიც, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ეკონომიკური ზრდა დააფიქსირა და განმარტა, რომ ეს ზრდა იმაზე მეტი იქნება, ვიდრე დღეს არის. მაგრამ ლარის კურსი დღითი დღე მაინც იზრდება. აქ სპეკულაციასთანაც გვაქვს საქმე, მოლოდინების ზრდასთანაც.

— თავად ეროვნული ბანკი გაუფასურების მიზეზად ტრანზაქციებს ასახელებს. შეიძლება, ტრანზაქციები ლარის გაუფასურების ერთ-ერთ მიზეზად განვიხილოთ?

— რა არის, იცით? ეროვნული ბანკი ცდილობს, გარკვეულწილად, შეიმსუბუქოს თავისი პასუხისმგებლობა, რაც, პირდაპირ შეიძლება ითქვას, მას არ გამოსდის. ტრანზაქციები გასაგებია, მაგრამ ქვეყანა, რომელიც ტრანზაქციებსა და უცხოეთიდან გადმორიცხვებზეა დამოკიდებული, შემდგარი არ არის. მხოლოდ და მხოლოდ უცხოეთიდან გადმორიცხვებით იცხოვროს ქვეყანამ, ასეთი რამ, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ლარს მანამ არაფერი ეშველება, სანამ არ მოხდება ექსპორტისა და წარმოების ზრდა. დანარჩენი ყველანაირი საუბარი ფუჭია.

— არც ინტერვენცია უშველის ლარს?

— ჩემი აზრით, ინტერვენცია უკვე დაგვიანებული და წყალში გადაყრილი თანხა იქნება.

— წლიდან წლამდე ვინ სარგებლობს ლარის ორივე მდგომარეობით, როგორც დაღმასვლით, ისე აღმასვლით — კომერციული ბანკები, მთავრობა თუ ეროვნული ბანკი?

— რა თქმა უნდა, თუკი თვალს გადავავლებთ მაჩვენებელს, თვალსაჩინოა, რომ ლარის მერყეობით, პირველ რიგში, სარგებლობენ ბანკები. ვგულისხმობ მსხვილ ბანკებს. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც მოსახლეობა ღარიბდება, ბანკები კი უზომოდ მდიდრებიან.

— ზოგიერთების აზრით, მთავრობის ეკონომიკური ბლოკი სიტუაციას ვერ აკონტროლებს, ამიტომ ეკონომიკური გუნდის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დაისვას.

— ეს პროცესი უკვე დაგვიანებულია, თვითდინებაზე მიდის და ვინმეს დასჯას უკვე მნიშვნელობა არა აქვს. ასეთი სიტუაციის გამოსწორებისთვის გადამჭრელი ზომებია საჭირო.

— ლარის გაუფასურებასთან ერთად კუპონის „შემოქმედი“ რომან გოცირიძე შეგვახსენებს თავს. ფრაქცია „ნაცმოძრაობის“ თავმჯდომარის ამპლუაში იგი აცხადებს, მომეცით დრო და ძველი ლარი დაგიბრუნდებათო.

— ამის არანაირი ეკონომიკური შანსი არ არსებობს, თუ არ გაიზარდა ექსპორტი და, ქვეყანაში წარმოების ზრდა არ მოხდა.

მანანა ნოზაძე

მთელი ცხოვრება კავკასიის ეთნოგრაფიას სწავლობდა

ალექსი რობაქიძე – 110

გამოჩენილი მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ქართული ეთნოგრაფიული აზრის საუკეთესო ტრადიციების განმავითარებლის, საქართველოში კავკასიათმცოდნეობითი ეთნოგრაფიის სულისჩამდგმელის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ალექსი რობაქიძის დაბადებიდან 110 წელი შესრულდა.

ალექსი რობაქიძის სამეცნიერო ინტერესთა სფერო ქართულ-კავკასიური ურთიერთობის ჭრილში კავკასიის ხალხთა ტრადიციული კულტურის შესწავლას დაუკავშირდა. პრობლემა მიზნად ისახავდა ქართველ-კავკასიელთა ეთნიკურ და კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობის, ძირითადად ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე, ისტორიის შესწავლას. ამ რეგიონის თავისებურებას განსაზღვრავს ეთნიკური მრავალფეროვნება და კავკასიის უძველეს ხალხთა მონათესავე წარმომავლობა, ეთნიკური განვითარების საერთო გზები, კულტურისა და ყოფის მსგავსი ფორმები.

ალექსი რობაქიძემ დიდი წვლილი შეიტანა კავკასიელი მთიელების სოციალური სტრუქტურის პრობლემის კვლევაში. მან მატერიალური კულტურა, კერძოდ, დასახლების სტრუქტურა საზოგადოებრივი ყოფის და სოციალური ურთიერთობის შესასწავლად გამოიყენა.

მეცნიერის კვლევის სფერო მოიცავდა პრობლემების ფართო წრეს, რომელიც აერთიანებს მატერიალურ და სამეურნეო კულტურას, სოციალურ ურთიერთობას, ეთნიკურ პროცესებს, მეთოდოლოგიურ საკითხებს, ისტორიულ ეთნოგრაფიას, თანამედროვე ყოფის შესწავლის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ამოცანებს, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის დამუშავების მეთოდებისა და პრინციპების დახვეწას, შემუშავებას.

მისი პირველი ნაშრომები, მეურნეობის ადრეულ ფორმებზე „მონადირეობა“ და „მეფუტკრეობა“ გამოირჩეოდა თემატიკის სიახლით. ილაშქრებდა რა იმ დროისათვის გაბატონებული „კულტურული მიგრაციების“ თეორიის წინააღმდეგ, იგი ამტკიცებდა, ასაბუთებდა, საქართველოში სამეურნეო კულტურის ძირძველობას და ადგილობრივ წარმომავლობას.

ალექსი რობაქიძის და რუსუდან ხარაძის მიერ 1961 წელს ისტორიის ინსტიტუტში დაარსებული კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილება თავისი მეცნიერული თუ შემოქმედებითი იდეებით ყოველთვის იყო კავკასიოლოგ ეთნოგრაფთა სამეცნიერო კერა, ხოლო ალექსი რობაქიძე ამ კერის სულისჩამდგმელი და მამამთავარი. მისი ხელმძღვანელობით დაცულ მრავალ დისერტანტთა შორის გარდა ქართველებისა, იყვნენ აზერბაიჯანელი, სომეხი, დაღესტნელი, ჩეჩენი, ინგუში, ყაბარდოელი, ბალყარელი, ჩერქეზი, ადიღეველი, აფხაზი, ოსი მეცნიერები.

ალექსი რობაქიძის კალამს ეკუთვნის საქართველოსა და უცხოეთში გამოქვეყნებული 150 ნაშრომი, მათ შორის 12 მონოგრაფია, რომელშიც იგი კრიტიკულად აფასებს მთიელ კავკასიელებში თითქმის XIX საუკუნემდე გვაროვნული წყობილების არსებობას და გვაძლევს მონობის ახალ ორიგინალურ ინტერპრეტაციას. მან მეცნიერული ანალიზით დაამტკიცა დებულება, რომ ძველად კავკასიელი მთიელების მიერ პრაქტიკაში არსებული მონობის ინსტიტუტი ემსახურებოდა ადრეფეოდალური ურთიერთობის განვითარების ინტერესებს. მატერიალური კულტურის საშუალებით კავკასიის მთის სოფლის შესწავლა ახლებურად წარმოაჩენდა სოციალური ორგანიზაციის მნიშვნელოვან მხარეს (სოციალურ ფენებს) და წარმოადგენდა გარკვეულ ინტერესს ადრეკლასობრივი საზოგადოების განვითარების ზოგიერთი კანონზომიერების თვალსაზრისით.

კავკასიელი ხალხის სოციალური კულტურის პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება პატრონიმიის საკითხი, როგორც ნათესაური ორგანიზაციის განსაკუთრებული ფორმა. კავკასიური ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე ალ. რობაქიძემ, დაამტკიცა, რომ პატრონიმია არის ნათესაური გაერთიანება წარმოქმნილი დიდი ოჯახის სეგმენტაციის შედეგად.

სოციალური ორგანიზაციის უძველესი ფორმების განხილვისას ალექსი რობაქიძე განსაკუთრებულად ამახვილებს ყურადღებას ფეოდალური ურთიერთობის ხასიათზე და აანალიზებს ტყვეობის ინსტიტუტის როლსა და ადგილს დიფერენცირებული სოციალური ფენების განვითარებაში, ასევე სამხედრო-დემოკრატიის წყობის სამხედრო არისტოკრატიაში გადაზრდის პროცესს. სოციალური ორგანიზაციის განხილვით ზურაბ ანჩაბაძესთან ერთად იგი ავლენს „მთური ფეოდალიზმის“ საკითხს. განხილული საკითხების ერთობლიობამ გამოავლინა ის საერთო, რითაც გამოირჩევა კავკასიური კულტურულ-ისტორიული ერთობა. ყოველივე ამან დადასტურება ჰპოვა უდიდესი მეცნიერების (გ. მელიქიშვილი, ე. კრუპნოვი და სხვ.) ნაშრომებში.

ალექსი რობაქიძის მიერ კავკასიური კულტურის შესწავლის საკითხში დიდი ადგილი ეთმობა ეთნოგრაფიული პარალელების საკითხს. 1978 წლიდან ალექსი რობაქიძე ხელმძღვანელობდა „საქართველოს ისტორიკოსების ბორჯომული შეხვედრების“ ეთნოგრაფიის სექციას, რის საფუძველზეც ჩატარდა დიდი სამუშაო, როგორც ოსეთის, ასევე აფხაზეთის მიმართულებით. ეს „შეხვედრები“ ერთგვარად პრევენციულ ხასიათს ატარებდა მოსალოდნელი დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საქმეში მეცნიერებას შემრიგებლური როლი არ ერგო.

უშუალოდ ალ. რობაქიძის სახელს უკავშირდება ქართულ-კავკასიური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის კვლევა-ძიების სამი მიმართულებით წარმართვა – ქართულ-ვაინახური, ქართულ-ოსური, ქართულ-აფხაზური ეთნოგრაფიული პარალელების გამოვლენის მიზნით. ამას საფუძვლად დაედო ფართომასშტაბიანი ერთობლივი ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოწყობა აღნიშნული რეგიონების სამეცნიერო დაწესებულებებთან და კოლეგებთან ერთად, რითაც საფუძველი ჩაეყარა მჭიდრო მეცნიერულ კონტაქტებს.

ალ. რობაქიძე თავისი ნაყოფიერი ცხოვრების მანძილზე საქართველოსა და კავკასიის მასშტაბით 40-მდე ეთნოგრაფიული ექსპედიციის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყო.

მისი მეთაურობით წარმოებდა, როგორც ცალკეული კუთხის, ასევე ზოგადკავკასიური პრობლემების შესწავლა, რაც გამოიხატებოდა ყოველი მეცნიერული საკითხის ძირითადი სტრუქტურის ჩამოყალიბებაში და შედარებითი მეთოდის გამოყენებით მის შემდგომ განზოგადებასა და გენეზისის, ისტორიული კონტაქტების, რეკონსტრუქციის, მოდელის შექმნაში.

დიდია ალექსი რობაქიძის ღვაწლი კავკასიური ეთნოგრაფიული მეცნიერების შესწავლაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

800-მდე პატიმარი წამების ფაქტებს აღასტურებს!

პროკურატურამ მე-8 და რუსთავის მე-6 საპატიმროს 5 თანამშრომელი დააკავა.

მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, პატიმართა მიმართ არაადამიანური მოპყრობის გამო თბილისის მე-8 და რუსთავის მე-6 დაწესებულების 5 თანამშრომელი დააკავეს.

მათ ბრალად ედებათ 2011-2012 წლებში პატიმრების დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა. პროკურატურაში დაკავებულთა ვინაობა არ დასახელებულა.

როგორც უწყებაში განაცხადეს, 5 პირიდან არც ერთი არც სასჯელაღსრულების სისტემაში და არც სხვა რომელიმე საჯარო სამსახურში არ მუშაობდა.

**„საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებმა პატიმართა მიმართ დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ბრალდებით, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გლდანის №8 დაწესებულების და რუსთავის №6 დაწესებულების ხუთი ყოფილი თანამშრომელი დააკავეს. გამოძიებით დადგინდა, რომ 2011-2012 წლებში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №8 დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების უფროსი და ამავე განყოფილების თანამშრომლები ლ.ბ. და დ.ხ., დასჯისა და დაშინების მიზნით პატიმრებს უსწორდებოდნენ ფიზიკურად და აყენებდნენ ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში. დადგინდა, რომ ბრალდებულები დაწესებულებაში შესახლებისას, პატიმრებს განურჩევლად უსწორდებოდნენ ძალადობრივი მეთოდებით, აყენებდნენ მათ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, ხოლო შემდგომ პერიოდშიც ამავე პატიმართა მიმართ ძალადობას ჰქონდა სისტემატური ხასიათი, რისი მიზანიც იყო მათი უსიტყვო მორჩილება. ბრალდებულთა ქმედებების შედეგად პატიმრებს უკანონოდ შეზღუდული ჰქონდათ გასეირნების, სატელეფონო საუბრებისა და მიმოწერის უფლება. არ ჰქონდათ სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობა, მათ ასევე შეზღუდული ჰქონდათ ძილისთვის და დასვენებისთვის განკუთვნილი დრო. პატიმრების მიმართ დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობას, 2012 წლამდე პერიოდში, ასევე სისტემური ხასიათი ჰქონდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის №6 დაწესებულებაში. გამოძიებით დადგინდა, რომ რუსთავის №6 დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების თანამშრომლებს – დ.ა.-ს, თ.მ.-ს და ბ.დ.-ს საპყრობილის რეჟიმის დებულების სრული იგნორირებით, შემუშავებული ჰქონდათ პატიმრებთან მოპყრობის საკუთარი წესები. კერძოდ, ბრალდებულები პატიმრებს ართმევდნენ კანონით მინიჭებული პირადი ჰიგიენის ნივთებს, საწოლისთვის განკუთვნილ თეთრეულს, იძულებით აშიშვლებდნენ და მათი ნების საწინააღმდეგოდ შიშველ მდგომარეობაში ამწყვდევდნენ კარცერში, სადაც დაბალი ტემპერატურის მიუხედავად, გაუსაძლის მდგომარეობაში ამყოფებდნენ მრავალი დღის განმავლობაში. აღნიშნული სახის არაადამიანურ მოპყრობას რუსთავის №6 დაწესებულებაში ჰქონდა სისტემური ხასიათი და გამოიყენებოდა განურჩევლად, პატიმრების დასჯისა და დაშინების მიზნით. არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, მიმდინარე გამოძიების ფარგლებში დაიკითხა 800-მდე მსჯავრდებული, რომლებიც განთავსებული იყვნენ პენიტენციური სისტემის სხვადასხვა დაწესებულებაში. საქმეზე გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1443-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“, „ზ“ ქვეპუნქტებით (მოხელის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ორი ან მეტი პირის მიმართ, ჯგუფურად, დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის მიმართ დამცირება, არაადამიანური, პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს და მორალურ ტანჯვას აყენებს მათ.) რაც სასჯელის სახედ და ზომად ოთხიდან ექვს წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. საქართველოს პროკურატურის მიერ, პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიების შედეგად, სისხლისამართლებრივი დევნა დაწყებულია პენიტენციური სისტემის 72 თანამშრომლის მიმართ, მათ შორის სასჯელაღსრულების დაწესებულების 8 დირექტორისა და 7 დირექტორის მოადგილის მიმართ. ყველა ზემოაღნიშნული დანაშაულებრივი ეპიზოდი ჩადენილია 2012 წლის ოქტომბრამდე პერიოდში. პროკურატურა ამ მიმართულებით აგრძელებს აქტიურ მუშაობას.“ – განაცხადეს პროკურატურაში.



სახალხო დამცველი თუ იდეოლოგიური მძარცველი?!.

„ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისათვის“ ერთ-ერთ ლიდერს გიგა ბოკერიას საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულმა რელიგიურმა საბჭომ საქართველოში ტოლერანტობის კულტურის განვითარებაში შეტანილი გამორჩეული წვლილისთვის, „ტოლერანტობის ქომაგის“ წოდება მიანიჭა.

უამრავჯერ მითქვამს, რომ საქართველო მეტად უცნაური ქვეყანაა, ხშირად გამიკრიტიკებია ე.წ. „სახალხო დამცველი“ უჩა ნანუაშვილი თავისი უაზრო და ყოვლად შეუსაბამო განცხადებებისთვის, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მისი განცხადებით, თითქოსდა გიგა ბოკერიასთვის „ტოლერანტობის ქომაგის“ წოდების მინიჭებაში თავად არ მიუღია გადაწყვეტილება და ეს მხოლოდ „რელიგიური საბჭოს“ გადაწყვეტილებაა, მის „ბოსტანში ქვები“ მაინც უნდა ჩაიყაროს.

უნდა ჩაიყაროს თუნდაც იმ მარტივი მიზეზისა გამო, რომ პირველი პროტესტი ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით სწორედ სახალხო დამცველს უნდა გამოეთქვა და იმ ფოტოებში არ უნდა ეპოზიორა, რომლებიც „ტოლერანტობის ქომაგებმა“ გიგა ბოკერიამ, ნიკა გვარამიამ და ე.წ. მწერალმა ლაშა ბუღაძემ, სხვა ქომაგებთან ერთად, სიგელებით ხელში გადაიღეს (მართლმადიდებლობის დაუძინებელი მტერი ხათუნა სამნიძე ამ „ღონისძიებას“ არ ესწრებოდა. სავარაუდოდ, ქართული ეკლესიის წინააღმდეგ ახალი სიბინძურის მოფიქრებით იყო დაკავებული).

სწორედ სახალხო დამცველის უმთავრესი მოვალეობაა, თავისი ტრიბუნიდან დაარქვას ყველაფერს ნამდვილი სახელი. უნდა თქვას, იყვიროს, იღაღადოს, რომ ბოკერია-გვარამიასთვის „ტოლერანტობის ქომაგის“ არამც თუ წოდების მინიჭება, არამედ სამზარეულოში ჭორაობის დროს, ამ მართლაც ღირსეული ტიტულის თუნდაც ხუმრობით დარქმევა იგივეა, რაც ჩიკოტელოსთვის ბავშვთა უფლებების დამცველის წოდების მინიჭება.

ცხადი, ამ აქტმა სოციალურ ქსელში საშინელი რეაქცია და საზოგადოების გაღიზიანება გამოიწვია. თავისი პროტესტი დაადასტურა ია მეტრეველმა **– ამაზე ჩუმად რატომ ხართ, ჟურნალისტებს ვგულისხმობ... ასეთი ცინიზმი და ხალხის დაცინვა! ბოკერიას, რომელიც არის ბოროტების და ცინიზმის სიმბოლო, რომელიც ციხეში უნდა იჯდეს კარგა ხნის წინ, დღეს ომბუდსმენის აპარატი აჯილდოებს, როგორც ტოლერანტობის სიმბოლოს. ეს ხომ მარტო ამ ქვეყანაში შეიძლება რომ მოხდეს.**

იყო უამრავი სხვა გამოხმაურებაც: **გიგა ბოკერია ტოლერანტულებში, უუუტოლერანტულესიაო – განაცხადა კაბუკის თეატრის წამყვანმა მსახიობმა.**

კი, ბატონო, იქნებ ნამდვილად ეკუთვნის ეს წოდება, მაგრამ ოთო კახიძეს რატომ ვჩაგრავთ? ეგ ხომ ამ უუუტოლერანტულესის მიერ მოწყობილ, ყოველგვარი ქართულის საწინააღმდეგო მსვლელობაზე, ყველაზე ტოლერანტული გამოხატვის საგნით – „გლოკ-19“-ით (რომელშიც 15 ერთეული, 9 მმ-იანი ვაზნა ჩადის) იმყოფებოდა.

გეაჯებით, ნუ დაუკარგავთ ამაგს ოთო კახიძეს და სახალხო დამცველის მხრიდან რაიმე წამახალისებელი საჩუქარი (თუნდაც ლურსმნებიანი დუბინკა) გადაეცით, ოღონდ დროზე მოასწარით, თორემ მალე გაგხვეტენ სახალხო დამცველის აპარატიდან და შენობას ქლორით დაამუშავებენ.

დიახ იყო პროტესტი, მაგრამ ქალბატონმა ნაირა გელაშვილმა, მართლაც ღირსეული ნაბიჯი გადადგა. მან საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს უკან დაუბრუნა „ტოლერანტობის ქომაგის“ ჯილდო, რომელიც „კავკასიურმა სახლმა“ ჯერ კიდევ 10 წლის წინათ მიიღო.

ცხადია, ქალბატონი ნაირას ამ ნაბიჯმა სასტიკად გააღიზიანა ტოლერანტი ნიკა გვარამია და ტოლერანტის მეუღლე თამარ ჩერგოლეიშვილი.

„ნაირა გელაშვილი მიმაჩნია ძალიან კარგ მწერლად, მაგრამ არ მიმაჩნია მნიშვნელოვან და საინტერესო ფიგურად. მისი აზრი საზოგადოებრივ მოვლენებზე საერთოდ არ მაღელვებს, რადგან მგონია, რომ ფაშისტია. ჩემთვის გასაკვირია, როგორ აიღო ტოლერანტობის ჯილდო, მაგრამ ჩვენ არაფრის დაბრუნებას არ ვაპირებთ, ვამაყობთ აღებული ჯილდოთი და ნაირა გელაშვილს, როგორც უნდა, ისე მოიქცეს. მე მას, როგორც საზოგადო მოღვაწეს, პატივს არ ვცემ, როგორც მწერალს კი ძალიან დიდ პატივს ვცემ“ – განაცხადა ნიკა გვარამიამ, ხოლო „ტაბულა ბიცოლა“ ქალბატონი ნაირას დამუნათებას შეეცადა: **„საინტერესო ისაა, რომ 2009 წელს ჯილდო არა ნაირა გელაშვილმა, არამედ კავკასიურმა სახლმა აიღო“.**

კავკასიურ სახლთან ერთად, ჯილდო აიღო თავისუფლების ინსტიტუტმა. თავისუფლების ინსტიტუტმა! თავისუფლების ინსტიტუტმა! თავისუფლების ინსტიტუტმა!

2009 წელია, თავისუფლების ინსტიტუტი, ფაქტობრივად, ხელისუფლებაშია, 7 ნოემბერიც მომხდარია, „იმედიც“ დარბეული. მაშინ ქალბატონ ნაირას ჯილდოზე უარი არ უთქვამს – რაც ძალიან საწყენია. მაშინვე უარი რომ ეთქვა, ფაშისტი ქალბატონი შემდეგი 9 წელი ტოლერანტობის ქომაგის წოდებით არ ივლიდა...

საოცარია რომ სიტყვა „ფაშისტი“ გვარამიასა და ჩერგოლეიშვილის ბაგეებიდან ისმის. ნამდვილად საოცარია, რადგანაც მათი „ღვაწლი“ ყველასთვის კარგადაა ცნობილი, მაგრამ ვინაა პატრონი?

სამწუხაროდ, ხელისუფლებამ მხოლოდ ამ რამდენიმე დღის წინათ გაახილა „ფართოდ დახუჭული თვალები“ და ე.წ. სახალხო დამცველის მისამართით მცირე კრიტიკული განცხადებები გააკეთა.

მაგალითისთვის ვიტყვი, რომ იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა უჩა ნანუაშვილზე თქვა, რომ ის „არის პირველი უსამართლო ომბუდსმენი.“

ხოლო პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, რომ უჩა ნანუაშვილი ბოლო პერიოდში პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებდა და ვარაუდობს, რომ სახალხო დამცველი თანამდებობის დატოვების შემდეგ, პოლიტიკურ აქტივობას გააგრძელებს.

„სამწუხაროდ, ბოლო ორი წლის განმავლობაში ის იყო გადასული პოლიტიკურ აქტივობაზე. როგორც ჩანს, ის ემზადება პოლიტიკური აქტიურობისთვის მას შემდეგ, რაც აღარ იმუშავებს სახალხო დამცველის პოსტზე,“ – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

აი, თურმე სად ყოფილა ბოკერიას, უჰ უკაცრავად, ბოკერიას კი არა, ძაღლის თავი დამარხული. ე.წ. „სახალხო დამცველი“ პოლიტიკურ აქტივობას აპირებს და, სავარაუდოდ, ასევე ე.წ. პრეზიდენტთან ერთად ჩაერთვება „ტოლერანტობის ქომაგთა“ მიერ დაწყებულ თამაშში.

ერთის შეხედვით, ჩნდება უმარტივესი შეკითხვა – ვის რა ჯანდაბად სჭირდება ან ნანუაშვილი, ან მარგველაშვილი, რომელთა რეიტინგი 0-ზე დაბლაა?

პასუხიც მარტივია: დასავლეთისთვისაა საჭირო, დასავლეთისთვის. დასავლეთის იმ მახინჯი ნაწილისთვის, რომლის მსოფლმხედველობის საქართველოში დამკვიდრებისთვის უკვე რამდენი წელია, იბრძვის გიგა ბოკერია და ე.წ. „თავისუფლების ინსტიტუტი“.

სწორედ ამაზე იყო გათვლილი ის სატელევიზიო კამპანია, რომლითაც საქართველოს ხელისუფლება წარმოჩინდა, როგორც ამ მეტად საჭირო და დემოკრატიული პრინციპებისთვის მეტად აუცილებელი ინსტიტუტის წინააღმდეგ მებრძოლი, და ეს აბსურდი გაამყარეს ერთ-ერთი საკმაოდ ავტორიტეტული, დასავლური ორგანიზაციისა და აშშ-ის ელჩის იან კელის კომენტარებით.

„რ2“-ის „ჟურნალისტის“ შეკითხვა და პასუხების „შეფუთვა“ გათვლილი იყო იმაზე, რომ საზოგადოებას დარჩენოდა შეხედულება, თითქოს დასავლური დემოკრატიის ცის კაბადონზე უჩა ნანუაშვილის გარეშე მზეც კი არ ამოდის, მაგრამ ვინც ეს კომენტარები მოისმინეთ, ნახავდით, რომ იქ საერთოდ არაფერია ნათქვამი ე.წ. სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილზე. იმ უჩა ნანუაშვილზე, რომლის მიმართაც კრიტიკა საზოგადოების მხრიდან უკვე რამდენიმე წელია ისმის, არა მხოლოდ მისი უაზრო და მართლაც შეუსაბამო განცხადებების გამო, არამედ საკმაოდ ძვირად ღირებული ავტომობილის შეძენასთან და სხვა ფინანსურ „გადაცდომებთან“ დაკავშირებითაც.

იმ კომენტარებში მხოლოდ სახალხო დამცველის აპარატის მნიშვნელობაზე იყო საუბარი.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ, სამწუხაროდ, ხელისუფლება მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, როცა ნანუაშვილს „დამცველობასა“ და საკმაოდ მსუყედ ანაზღაურებად პოსტზე, დათვლილი დღეები დარჩა და ქვეყნისთვის ამ მეტად მნიშვნელოვანი პოსტის დასაკავებლად, „დემოკრატიის გიენებმა“ აქტიურად დაიწყეს მოძრაობა.

ცხადია, რომ ამ ე.წ. სატელევიზიო პიარკამპანიას უჩა ნანუაშვილი მისი ინტელექტუალური თუ ტექნიკური შესაძლებლობიდან გამომდინარე, ნამდვილად ვერ მოახერხებდა (ჯერ მოფიქრება და შემდეგ ამ სიუჟეტების შეკვეთის მიზნით საინფორმაციო საშუალებებთან კომუნიკაცია).

სამწუხაროა ამ მიმართულებით ხელისუფლების პასიურობა, რადგანაც რჩება შთაბეჭდილება, რომ დასავლეთთან ურთიერთობებს ისევ და ისევ ნანუაშვილის მიერ საქართველოს მთავარ ტოლერანტად დასახელებული ბოკერია აკონტროლებს, საზოგადოება კი, ფაქტობრივად, მოწყვეტილია შიდა პროცესებს და სახალხო დამცველის პოსტზე უკვე დასახელებული კანდიდატებიდან, რომელთა უმრავლესობა „უარეს ნანუაშვილს“ წარმოადგენს, მივიღებთ არა რეალურ, ნამდვილ სახალხო დამცველს, არამედ გარკვეული პოლიტიკური ძალის მორჩილ ქვეგანყოფილებას.



წერილს ფეისბუქზე დაწერილი ერთი მოკლე სტატუსით დავამთავრებ: **როგორც ვატყობ, სახალხო დამცველის არჩევასთან დაკავშირებით, გვარიანი საომარი გვექნება!**

გია გაბრიჭიძე

თბილისის მერიისა და „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ ერთობლივი სოციალური პროექტი

დედაქალაქის მერია და კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ ზამთრის სეზონთან დაკავშირებით, ერთობლივ სოციალურ კამპანიას – „მეტი უსაფრთხოებისთვის“ იწყებს.

თბილისის მერიაში გამართულ პრესკონფერენციაზე სოციალური კამპანიის შესახებ დედაქალაქის მერის მოადგილემ ირაკლი ბენდელიანმა და „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ წარმომადგენლებმა ისაუბრეს.

„სამწუხაროდ, ზამთრის სეზონზე ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსახლეობის CO-თი ინტოქსიკაციისა და ხშირ შემთხვევაში, მათი გარდაცვალების ფაქტები ხდება. სწორედ ამიტომ, 24 საათის განმავლობაში, სრულიად უფასოდ, კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ თანამშრომლები დედაქალაქის მოსახლეობას მოემსახურებიან, გამათბობლებსა და წყლის გამაცხელებლებს შეუმოწმებენ, შესაბამის კონსულტაციებს გაუწევენ, რაც ჩვენი მოსახლეობის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია“, – განაცხადა ირაკლი ბენდელიანმა.

პიროტექნიკის გამოყენებასა და ხმაურზე შეზღუდვები მოიხსნა

ღამის საათებში პიროტექნიკის გამოყენებასა და ხმაურზე არსებული შეზღუდვები ახალი წლის დღეებში მოიხსნება. შსს-ის ცნობით, 31 დეკემბერს 21:00 საათიდან 2 იანვრის 23:00 საათამდე, ასევე 13 იანვრის 21:00 საათიდან 14 იანვრის 21:00 საათამდე პიროტექნიკის გამოყენება ნებადართული იქნება.

ამასთან უწყება მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან სიფრთხილის ზომები პიროტექნიკის გამოყენებისას.

2017 წლის დასაწყისში პიროტექნიკის არასწორი გამოყენების გამო 20-ზე მეტი ადამიანი დაშავდა.

15 აგვისტოდან დღისა და ღამის საათებში ხმაურის დასაშვებ ნორმებზე გადაჭარბება იკრძალება. დღისა და ღამის საათებში საცხოვრებელ სახლში, კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ან საზოგადოებრივი-საჯარო დაწესებულების შენობაში აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტება გამოიწვევს ფიზიკური ან იურიდიული პირის გაფრთხილებას, ხოლო შემდეგ შემთხვევაში კანონდარღვევა ჯარიმით განისაზღვრება: ფიზიკურ პირზე – 150, ხოლო იურიდიულ პირზე 500 ლარი. შემთხვევის განმეორებისას ჯარიმა გაორმაგდება.

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო
აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტი (EWHIP-4)
კრედიტი/სესხი IDA5245-GE; IBRD 8263-GE
პროექტის No.: P148048
დავალების სახელწოდება: „სამუშაოების ზედამხედველობა თბილისი-სენაკი-ლესელიძის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის კმ115-კმ 121.3 მონაკვეთის განათების ქსელის მონტაჟისთვის აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტის (EWHIP-4) ფარგლებში“
კონტრაქტი/ RFP No: EWHIP-4/CS/CQS-08

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტისთვის (EWHIP-4). აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **„სამუშაოების ზედამხედველობა თბილისი-სენაკი-ლესელიძის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის კმ115-კმ 121.3 მონაკვეთის განათების ქსელის მონტაჟისთვის აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტის (EWHIP-4) ფარგლებში“**.

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ აღნიშნული მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს (მაგრამ არ არის შეზღუდული) შემდეგს: შესაბამისი გამოცდილება პროექტის ღონისძიებებთან მიმართებაში, ძირითადი პერსონალის კვალიფიკაცია, კორპორატიული პროფილი.

მოკლე სიაში შეყვანის კრიტერიუმებია:
- ზოგადი გამოცდილება.
- მსგავსი გამოცდილება - სამუშაოების ზედამხედველობის განხორციელება გზების რეაბილიტაციის ან მშენებლობის ან განათების პროექტების ფარგლებში ბოლო 5 წლის განმავლობაში (2012 წლის პირველი იანვრიდან).

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 5 თვე + 12 თვე დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში („კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით შეუძლიათ გაერთიანდნენ *(გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე).* ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას №1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge შემდეგ ბმულზე:
http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1490604057

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება კონსულტანტის კვალიფიკაციის საფუძველზე (CQS) შერჩევის მეთოდით მსოფლიო ბანკის შესყიდვის სახელმძღვანელოში განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში).

ინტერესის გამოხატვის ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე **არაუგვიანეს 2017 წლის 6 დეკემბრის 17:00 საათისა.**

სახელი: ნუგზარ გასვიანი
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე
მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი 0160, საქართველო
ელ.ფოსტა: info@georoad.ge
ვებ–გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgia
Fourth East West Highway Improvement Project (EWHIP-4)
Credit / Loan No. IDA5245-GE; IBRD 8263-GE
Project No. P130413
Assignment Title: Supervision of Works for Road Lighting Network Installation For Tbilisi-Senaki-Leselidze Highway km 115 – km 121.3.
Contract/RFP No: EWHIP-4/CS/CQS-08

*Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Fourth East West Highway Improvement Project (EWHIP-4)** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project, which will be jointly financed with the Government of Georgia.*

*The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consultants to express their interest in providing the following services: **"Supervision of Works for Road Lighting Network Installation for Tbilisi-Senaki-Leselidze Highway km 115 – km 121.3."***

Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expressions of interest should cover, but not limited to: experience relevant to the project activities, company's general staff capacities, corporate profile.

The shortlisting criteria are:
- *General experience;*
- *Similar experience, i.e. Supervision works for road rehabilitation or construction or lighting projects within the last 5 years (i.e. since January 01, 2012).*

*Estimated duration of assignment is **5 months+12 months Defects Liability Period**.*

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's Guidelines: SelectionandEmployment ofConsultants[underIBRD Loans andIDA CCreditsGrants] byWorld Bank Borrowers, January 2011 revised in July 2014 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

*Consultants may form an association **(Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association)** to enhance their qualifications. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on www.georoad.ge*
on the following link: http://www.georoad.ge/?lang=eng&act=tenders&func=menu&uid=1490604057

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

The Consultant will be selected under Selection based on Consultant's (CQS) method set out in the World Bank's Guidelines: SelectionandEmployment ofConsultants[underIBRD Loans andIDA CCreditsGrants] byWorld Bank Borrowers, January 2011, revised July 2014 ("Consultant Guidelines").

*Expressions of Interest electronically or in printed materials must be delivered to the address below **not later than December 06, 2017, 17:00 hours.***

Name: Nugzar Gasviani
Position: Deputy Chairman of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi 0160, Georgia
Email: info@georoad.ge
Web Site: www.georoad.ge

ბათუმში ნაპოვნი ქვევრი, შესაძლოა, მე-5 საუკუნით დათარიღდეს

ბათუმში ნაპოვნი ქვევრი, შესაძლოა, მე-5 საუკუნით დათარიღდეს. Ajaratv.ge-ის ინფორმაციით, ბათუმში, თამარის დასახლებაში, სამი დღის წინ, ნაპოვნი ქვევრის გადარჩენილ ნაწილებს არქეოლოგები სწავლობენ.

სპეციალისტების ინფორმაციით, პირველადი დასკვნა, რომ ქვევრი განვითარებულ შუა საუკუნეების პერიოდის უნდა იყოს, შეიცვალა და სავარაუდო თარიღად მე-5 საუკუნე სახელდება.

ქვევრი დაზიანებების გარეშე, წყლისა და კანალიზაციის მილების რეაბილიტაციის დროს, მუშებმა იპოვეს. სოციალურ ქსელში გავრცელდა ვიდეო, სადაც მუშებმა ქვევრი ჯერ ხელით, შემდეგ ქვით და ბოლოს ტრაქტორით დაამტვრიეს.

ქვევრის დიდი ნაწილი ამ დროისთვის დაზიანებულია. მიმდინარეობს ქვევრის დაზიანების საქმის მოკვლევა, ვის დაეკისრება არქეოლოგიური მასალის დაზიანებაზე პასუხისმგებლობა, ამ ეტაპზე უცნობია.

◎ „ინტელექტმა“ გამოსცა

სევდის გაჩუქებელი

„მწერალი არ არის, თავისთვის ერთობაო“, — მითხრა ჩემმა უფროსმა მეგობარმა და ცნობილმა გამომცემელმა, „ინტელექტის“ დამაარსებელმა და თავკაცმა კახმეგ კუდავამ. — **ეს იმის პირველი წიგნია, საჩუქრად გაძლევო“. წავიკითხე თენგიზ კუდავას „მიტოვებული სახლების სევდა“,** გადავსახლდი ჩემს ლამაზ სამეგრელოში, მარტვილის ულამაზეს სოფლებში და გავითავისე ეს სევდა. ქართველ კაცს უთქვამს — „დარდს მოგცემ, დარდს დაგავიწყებო“. რამხელა სევდა-დარდი დამიტოვა ამ პატარა მოთხრობებმა. „მწერალი არ არისო“, აბა ვინ არის?! მისი ეს ციცქნა ჩანახატები რომ დაგადარდიანებს, თავის სევდას რომ გაგინაწილებს, დაგაფიქრებს, ცრემლს ჩამოგადენს, იმ შენს ლამაზ სამშობლოს კიდევ უფრო შეგაყვარებს, იმ პატარა „ლეკუდედან“ (კუდავების სამფლობელოდან) მთელი მსოფლიოს სევდას დაგანახვებს... აბა ვინ ხარ?!



სევდა-დარდი ვახსენე და ის იუმორი, თვითნაბადი, კოლხური სიბრძნით გაზავებულ-შეკაზმული რომ გაერევა შიგადაშიგ... ყველაფერი ეს ღვთისგანაა ნაბოძები. თითქოს მიზანდასახულიცაა, ამდენი საფიქრალით გული რომ არ გაგისივდეს და ცოტა ღიმილიანადაც გახედო ამ სატკივარს იმ მოტივით, რომ მოევლება.

დადიხარ ავტორთან ერთად მიტოვებულ ეზოებში, ქარისა და წვიმის სათარეშოდ ქცეულ თვალებამოღამებულ ოდა სახლებში, სიცოცხლის ნიშანი და შემორჩენილი იმედი პატრონთა დაბრუნებისა, მხოლოდ აქა-იქ აყვავილებულ ხილნარს რომ შერჩენია. მტვრისაგან დაფარულ, ფარღალა კედლებზე ცერად მიკიდებული უძველესი სურათები პატრონს ელოდებიან. გადიხარ უძველეს ოხვამეში, საღებავგადაცლილ მესრიან საფლავებს შორის, ეძებ ნაცნობ-მეგობართა საფლავებს, ზოგს მხოლოდ აღდგომა დღეს რომ ახსენდება, ისიც ხანდახან და ყოველივე განცდილი გადაგაქვს ფურცლებზე. მართლაც კარგი მთხრობელი უნდა იყო, რომ ყოველივე ეს სხვასაც განაცდევინო და დაანახვო, სხვაც დააფიქრო და ააცრემლო. ეს შეძლო და ძალიან კარგადაც თენგიზ კუდავამ.

სულ 12 ჩანახატია. თორმეტივე დასრულებული, ლამაზი, ღაღი ენით დაწერილი, ისეთი, ყველა რომ გაითავისებს. თითქოს მორჩა ერთი სევდიანი ისტორია, მაგრამ მეორეშიც გრძელდება, მესამეშიც, მეოთხეშიც და ასე შემდეგ. გადადის გულიდან გულში, ზიარჭურჭლის პრინციპია, სევდის გაჩუქებაა.

წიგნი დასურათებულია დეა სოსელიას შესანიშნავი „აკვარელით“. გამოცემულია სოფო კობიაშვილის რედაქტორობითა და ნინო სადღობელაშვილის წინასიტყვაობით.

„ელადა და საქართველო — „ახალი კულტურული ხიდი“

„განსხვეულებული პოეზია - საფო“

25 ნოემბერს 17 საათზე, საქართველოს მწერალთა სახლში გაიმართება ცნობილი ბერძენი მოქანდაკის **გელა კესიდის** ხელოვნების ამსახველი წიგნი-ალბომის პრეზენტაცია.

ალბომი ასოციაცია **„კულტურათა დიალოგი XXI“** პრეზიდენტის **ვალერი ასათიანის** თაოსნობით გამოიცა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის **გიორგი ჯანბერიძის** ავტორობით. დახვეწილი დიზაინით შექმნილი მაღალპოლიგრაფიული გამოცემა თანმიმდევრულად გაგვაცნობს კესიდის შემოქმედებას, წამძღვარებული აქვს პროფესორ **ვალერი ასათიანის** შესავალი და ცნობილი არტ-კრიტიკოსის **დავით ანდრიაძის** ანალიტიკური წერილი.

წიგნი გამოიცა **დავით ბეჟუაშვილის „განათლების ფონდის“** მხარდაჭერით.

გელა კესიდი საქართველოში დაიბადა, აქ მიიღო განათლება, დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან კი საცხოვრებლად სალონიკში გადავიდა.

საგულისხმოა, რომ წელს ივნისში, თავის პირველ სამშობლოს — საქართველოს მიმართ სიყვარულის და მადლიერების ნიშნად, ბერძენმა მოქანდაკემ საკუთარი ქმნილება „განსხეულებული პოეზია — საფო“ საჩუქრად უძღვნა თბილისს და მისი სკულპტურა ისტორიული მწერალთა სასახლის ბაღს ამშვენებს.

გელა კესიდის ქანდაკება ნატიფია, მისი ესთეტიკა სილამაზისა და მშვენიერების განცდაზეა აგებული, მისი პლასტიკა უმეტესად მოძრაობაშია გადაწყვეტილი, დინამიკური და ექსპრესიულია. ბერძნული არქაული და ნეოარქაული ქანდაკების მოტივები გაჯერებულია ქართული ქანდაკების ტრადიციებით, რომელიც ჰარმონიაშია თანამედროვე ქანდაკების მოდერნისტულ მიმართულებებთან.

საქართველოში დაბადებულ სახელოვან ბერძენთაგან გელა კესიდი ღირსეულად წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოში ელადას და საქართველოს, თავისი მოღვაწეობით „ახალი კულტურული ხიდია“ ელადასა და საქართველოს შორის, რაც თავისი სიღრმით სცდება ლოკალურ საზღვრებს და გაცილებით მეტი მასშტაბის მქონე მოვლენის მნიშვნელობას იძენს, რაც წიგნი-ალბომის გამოცემის მთავარი არსია.

ზურაბ ციხისელი



ენათესავება თუ არა პიცა ხაჭაპურს?

BBC-ის ჟურნალისტმა დევიდ ფერლიმ საქართველოში მოგზაურობისას ხაჭაპური დააგემოვნა და მკითხველს შთაბეჭდილება გაუზიარა: „ყველით და ცომით დამზადებულ ხაჭაპურს საქართველოში ყველგან და ყოველთვის შეხვდებით. თუ ცუდ ხასიათზე ან მოწყენილი ხარ, არ უნდა შეეხო ცომს და არ უნდა მოზილო, რადგან შენი განწყობა ხაჭაპურზე აისახება და ამას დაგემოვნებისას აუცილებლად შეამჩნევთ. ეს მითხრა ჩემმა მეგობარმა მაკო ქავთარაძემ.

მაკოს ნათქვამის არ მჯეროდა. ხაჭაპურის საჭმელად რიკოთის უღელტეხილზე გავჩერდით. მაკომ თავისი ნათქვამის დასამტკიცებლად სამზარეულოში შემიყვანა. ახლა გაჩვენებ ქალს, რომელიც აცხობს ხაჭაპურს, გარანტიას გაძლევ როგორი მხიარულიც იქნება ის ქალი, ისეთივე, გემრიელი ხაჭაპური გამოვა. სამზარეულოს სკამზე ქალბატონი იჯდა და ცომს აბრტყელებდა, რომ დაგვინახა, სახე გაუბრწყინდა და გაგვიღიმა. მაკომ მითხრა, ის ბედნიერია.

თუ ხაჭაპურს ბედნიერი ხალხი აცხობს, ეს ნიშნავს, რომ ხაჭაპური მომხმარებელს აბედნიერებს, ანუ ეს არის საუკეთესო კომფორტული საჭმელი.

კვლევების მიხედვით, ქართველების 88 %-ს ხაჭაპური ურჩევნია პიცას. ხაჭაპური იმდენად პოპულარულია საქართველოში, რომ ეკონომისტებმა ხაჭაპურის ინდექსიც შექმნეს, რომელიც ბიგ მაკის ინდექსის მსგავსად ჩამოყალიბდა. კავკასიაში ეკონომისტები ინფლაციაზე მონიტორინგს ხაჭაპურის ინგრედიენტების ფასებით ახორციელებენ: ფქვილი, ყველი, კარაქი, კვერცხი, რძე და საფუარი.

ხაჭაპურის წარმოშობაზე ისტორიკოსები დღემდე კამათობენ, ქართული კულინარიის აკადემიის პროფესორისა და მწერლის დალი ცანავას თქმით, ხაჭაპური შეიძლება პიცას ენათესავებოდეს. მისი თქმით, შავი ზღვის სანაპიროზე მოსულმა რომაელმა ჯარისკაცებმა პიცის მსგავსი კერძი მოიტანეს. როგორც იცით, მე-16 საუკუნემდე ევროპაში პომიდორი არ არსებობდა, ამიტომ პიცის მსგავსი კერძი პურისა და ყველისგან მზადდებოდა. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განსხვავებული ხაჭაპურია. იმერეთში ხაჭაპური ჭყინტი ყველისგან მზადდება და შორიდან რომ შეხედოთ, ისეთი ფორმა აქვს, პიცა გეგონებათ. სვანური ხაჭაპურია კუბდარი, მეგრული ხაჭაპური, იმერულის მსგავსად, ყველით სავსეა და ზევიდან გამდნარი ყველის ფენა ადევს.“ დევიდ ფერლი სტატიაში აღწერს აჭარულ ხაჭაპურს და მის ფორმას ნავს ადარებს. სტატიაში მოყვანილია შეფ-მზარეულის მაკა ჩიხიაშვილის ციტატა: **„აჭარული ხაჭაპური რეგიონის გეოგრაფიისა და კულტურის ანარეკლია. აჭარა შავ ზღვაზე მდებარეობს, აჭარლები ცნობილები იყვნენ გემთმშენებლობით და ამიტომ აქვს აჭარულ ხაჭაპურს ნავის ფორმა. კვერცხი მზე არის, ყველი კი ზღვა.“** — წერს BBC-ის ჟურნალისტი.

დაგვიანებული სამი მიხაკი

თუ დახატავენ პოეტის პორტრეტს, რომ სინამდვილის იერი ჰქონდეს?

ხუტა ბერულავა

„არ ვიცი, შევძელი თუ არა, დამეხატა „პოეტის პორტრეტი“, ოდნავ მაინც თუ აქვს მას „სინამდვილის იერი“... ამაზეა დამოკიდებული, ჩამეთვლება თუ არა ეს კრძალვით ნათქვამი მონოლოგი სამ მიხაკად, რომელიც ძალიან მინდოდა, მიმეძღვნა ბატონი ხუტასთვის... ეს ზღვაში წვეთია, მაგრამ ამ წვეთში — ზღვა ტკივილია“, — წერს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქალბატონი **ნათელა გიორგობიანი** წლეულს გამოსული წიგნის ბოლოსიტყვაობაში **„დაგვიანებული სამი მიხაკი“,** რომელიც გამოჩენილი ქართველი პოეტის **ხუტა ბერულავას** შემოქმედებას ეძღვნება. მართლაც ძალზედ ემოციური წიგნია, მოგონებათა კრიალოსანი, რომელიც პოეტის სულიერ სამყაროში გამოგზაურებს. ქალბატონ ნათელას ჰქონდა უფლებაცა და თავის გულის სურვილიც იყო, შეექმნა ეს ლამაზი წიგნი, რადგან იგი ათეული წლები სხვადასხვა გამომცემლობებში მუშაობდა პოეტთან, კარგად იცნობდა არამარტო მის შემოქმედებას, არამედ პოეტის სულიერ სამყაროს. სწორედ მის თვალწინ იქმნებოდა ის შედევრები, რომელიც ახსოვს და გათავისებული აქვს ქართველ მკითხველს, თვითმხილველია არაერთი ეროვნული საქმისა, რომელმაც დიდი სულიერი საზრდო შეუქმნა თაობებს.

ბევრ საინტერესო ეპიზოდს შეხვდებით პოეტის ცხოვრებიდან, რომელიც ზოგისთვის უცნობია, ზოგისთვის დავიწყებული. **„მის სიცოცხლეში ვერ გამოვხატეთ მისდამი, მისი პოეზიისადმი ჩვენი დამოკიდებულება, მიუხედავად იმისა, რომ გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენდა, როგორც ადამიანი, როგორც შემოქმედი“,** — წერს ქალბატონი ნათელა, მაგრამ, ვინც ამ წიგნს ბოლომდე ჩაიკითხავს, ადვილად დარწმუნდება იმაში, რომ ეს დაგვიანებული მონოლოგი, რომლის სათაურიც პოეტისვე უშესანიშნავესი ლექსიდანაა ამოღებული — **„მოულოდნელად რომ შეეკრას გზა სანავარდო, სამი მიხაკი, სამად სამი, არ დაამადლო“,** იმ დიდი სიყვარულისა და დაფასების ნიმუშია, რასაც ავტორი დიდი პოეტის მიმართ განიცდიდა. ნათელა გიორგობიანმა პოეტის პორტრეტი სინამდვილის იერით დაგვიხატა.

მამუკა ვაშაკიძე

◎ მოვლენის წინ

ზუროსის რჩეულნი

საქართველოს საკალათბურთო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ილიას ზუროსმა ის 12 კალათბურთელი დაასახელა, ვინც ჩვენი ქვეყნის ღირსებას დაცავს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მოახლოებულ მატჩებში:

მანუჩარ მარკოიშვილი („რეჯანა“, იტალია), მაიკლ დიქსონი („სტრასბური“, საფრანგეთი), გოგა ბითაძე („მეგა ბიმაქსი“, სერბეთი), ნიკა ცქიტიშვილი (უგუნდოდ), მერაბ ბოქოლიშვილი („ოლიმპი“), ლევან ფაცაცია („დინამო“), აკაკი დვალიშვილი („ქუთაისი“), რევაზ როგავა („ოლიმპი“), მიხეილ ბერიშვილი („დინამო“), ანატოლი ბოისა („კაკტუსი“), ბექა ბექაური („ქუთაისი“), ნიკა დარბაიძე („ოლიმპი“).

საქართველოს ნაკრები ქვეჯგუფში გერმანიის, სერბეთისა და ავსტრიის ნაკრებებთან ერთადაა. აღნიშნული კვარტეტიდან სამი საუკეთესო მეორე შესარჩევ ეტაპზე გადაინაცვლებს.

საქართველოს ნაკრები უმნიშვნელოვანეს შესარჩევ ეტაპს გერმანიაში მატჩით გახსნის. საგულისხმოა ისიც, რომ ილიას ზუროსის გუნდი ზედიზედ სამ გასვლით შეხვედრას ჩაატარებს და მეორე წრეში უკვე საშინაო მატჩები ელოდება.

24 ნოემბერი. ქემნიცი. გერმანია – საქართველო.
27 ნოემბერი. ბელგრადი. სერბეთი – საქართველო.
23 თებერვალი. ავსტრია (ქალაქი ჯერ არაა ცნობილი). ავსტრია – საქართველო.
25 თებერვალი. თბილისი. საქართველო – გერმანია.
29 ივნისი. თბილისი. საქართველო – სერბეთი.
2 ივლისი. თბილისი. საქართველო – ავსტრია.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს საკალათბურთო ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში პირველად ითამაშებს, თუმცა, ისტორიულ საკვალიფიკაციო ეტაპს იგი სერიოზული დანაკლისით ხვდება. ტრავმების გამო გუნდს დუდა სანაძე, გიორგი ცინცაძე და ბექა ბურჯანაძე დაკლდნენ, გიორგი შერმადინი და თორნიკე შენგელია თავიანთმა კლუბებმა ევროლიგაში თამაშის გამო არ გაათავისუფლეს, ხოლო ზაზა ფაჩულიამ და ვიქტორ სანიკიძემ სანაკრებო კარიერა დაასრულეს.

ფაქტობრივად, გამოდის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე ახალი ფორმაციის საქართველოს ნაკრები წარსდგება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ლეგიონერი

ანანიძემ ვარჯიში დაიწყო

საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველმა ჯანო ანანიძემ წვრთნა განაახლა. როგორც „სპარტაკის“ ვებ-გვერდი იტყობინება, მან ტრენაჟორებზე ივარჯიშა. მას შემდეგ, რაც ანანიძეს რომში 12 ოქტომბერს ოპერაცია გაუკეთდა, ეს პირველი გამოჩენა იყო კლუბის ბაზაზე. ფეხბურთელი ერთი თვის განმავლობაში საქართველოში იმყოფებოდა.

ჯანოს თბილად შეხვდნენ თანაგუნდელები და მალე გამოჯანმრთელება უსურვეს, ხოლო თავად განაცხადა, რომ თავს კარგად გრძნობს.

ანანიძე გუშინ „სპარტაკისა“ და „მარიბორის“ შეხვედრას დაესწრო, 10 დეკემბერს კი რომში გაემგზავრება, სადაც მორიგი გამოკვლევა უნდა გაიაროს. სწორედ ამის შემდეგ გახდება ცნობილი, თუ როდის დაუბრუნდება ის მოედანს.

შეგახსენებთ, რომ ქართველმა ლეგიონერმა ტრავმა მახაჩყალის „ანჟისთან“ შეხვედრაში ორი თვის წინათ მიიღო და მას შემდეგ არ უთამაშია.

გიორგი ზოთაძე



◎ უკვდავება

გვახსოვხარ, მეგობარო!

თბილისს ერთი ღირსეული ქალაქელი კაცი ამშვენებდა.

დიახ, სამწუხაროდ, ჯემალ მელაძის შესახებ წარსულში გვიწევს საუბარი, რადგან ჩვენი ძვირფასი მეგობარი, მოყვასზე გადაყოლილი პიროვნება და თხემით ტერფამდე პროფესიონალი, სპორტული სამყაროს გამორჩეული წევრი, ჯანღონით აღსავსე, სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ ცხოვრებისეული დარტყმებით გულდასერილი ვაჟკაცი 2015 წელს უკვდავების ბინადართ შეუერთდა.

მაგიდის ჩოგბურთი იყო მისი მოწოდება და არც არავის გაჰკვირვებია, მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ მომავალი თაობების დაოსტატება რომ დაიწყო, თანაც, უპირველესად, შეგირდთა სულებს ძერწავდა და მათ ადამიანური ღირებულებებით შემკულ პატრიოტებად აყალიბებდა.

ამ დღეებში სპორტკომპლექსმა „არენამ“ საქართველოს დამახურებული მწვრთნელის პირველ საერთაშორისო მემორიალს უმასპინძლა, რომელშიც თბილისის 5 კლუბის, აგრეთვე აჭარის, ქუთაისის, რუსთავის, კასპის, ზესტაფონისა და სომხეთის 85 წარმომადგენელი მონაწილეობდა.

აღსანიშნავია, რომ ჯემალ მელაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღია ტურნირის იუნიორი ბიჭების შეჯიბრებაში სამივე საპრიზო ადგილი მისმა აღზრდილებმა – ლევან პავლიაშვილმა, ლაშა ლომაიამ და ცოტნე ქობალიამ დაიკავეს (სამივე თბილისი).

იუნიორი გოგონები: ანა ნიკოიანი, მარი და თაკო ჩიჯავაძეები (სამივე აჭარა).

კადეტებში როგორც გოგონებში, ისე ბიჭებში წარმატება სომეხ სტუმრებს ხვდათ წილად. გამონაკლისს თბილისელი აკაკი გაბიცინაშვილი წარმოადგენდა, რომელიც მესამე ადგილზე გავიდა.

დავძენთ, რომ მემორიალის ორგანიზატორს – მაგიდის ჩოგბურთის ეროვნულ ფედერაციას, ტრადიციისამებრ, გვერდში დაუდგა რომპეტროლის გენერალური დირექტორი ალექსანდრე ალბინი, რომელიც ფინალურ შეხვედრებზე დასასწრებად ყახაზეთიდან სპეციალურად ჩამოფრინდა და ძვირფასი მეგობრის ნათელ ხსოვნას ღირსეული პატივი კიდევ ერთხელ მიაგო.

გია პლატონიშვილი

ოსტატი და შეგირდები

◎ საფრთხე

„მილანს“ მოკვეთა ემუქრება

იტალიური „მილანი“, შესაძლოა, უეფას ტურნირებიდან მოკვეთონ. როგორც ესპანური გამოცემა Marca იტყობინება, „როსონერი“ ფინანსური ფეირ-პლეის დარღვევაშია შემჩნეული და თუ ბრალი დაუმტკიცდა, ან ფინანსურად დაჯარიმდება, ანაც ევროსარბიელიდან დისკვალიფიკაციით.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე დღის წინათ „მილანის“ აღმასრულებელი დირექტორი მარკო ფასონე ნიონში იმყოფებოდა, თუმცა, წყაროს ცნობით, უეფას მაღალჩინოსნები ვერ დაარწმუნა სიმართლეში. გარდა ამისა, იტალიური გრანდი ფინანსური პრობლემების გადაჭრას ჩემპიონთა ლიგაზე გასვლით გეგმავდა, მაგრამ დღევანდელი მდგომარეობით ამისგან ძალზე შორსაა.

„მილანი“ მეშვიდე ადგილზეა იტალიის ჩემპიონატში და ჩემპიონთა ლიგის ზონასთან 11 ქულა აშორებს. აქვე გეტყვით, რომ ლომბარდიელებმა ბოლოს ლიგაზე 2013-2014 წლების სეზონში ითამაშეს, წელს კი ევროპა ლიგაზე ასპარეზობენ.

კოგა კოგახიძე

◎ შეუცნობელი

ღარვინიზმი... გოლიათების წინაალმდეგ

თანამედროვე ადამიანის წინაპრები გოლიათები რომ იყვნენ, ამის შესახებ მსოფლიოს მრავალი ხალხის მითებსა და ლეგენდებშია ნათქვამი. ისინი არაერთხელ არიან ნახსენები სახარებაში, კერძოდ, ძველი აღთქმის პირველ ხუთ წიგნში. ზოგიერთი ღვთისმეტყველი და ისტორიკოსი კი სულაც მიიჩნევდა, რომ ისინი ანგელოზებისა და მოკვდავი ქალების კავშირის შედეგად იშვნენ.

მართალია, ევოლუციონისტი ბიოლოგები ამას მხოლოდ ძველ ადამიანთა ფანტაზიის ნაყოფად მიიჩნევენ, მაგრამ დედამიწაზე მათი არსებობის უამრავი მატერიალური მოწმობაა. ვთქვათ, ავიღოთ იგივე ცნობილი პასექის კუნძული წყნარ ოკეანეში. როცა იქ პირველი ჰოლანდიელი მეზღვაურები ჩავიდნენ, გაოცებულნი დარჩნენ უზარმაზარი ქვის ქანდაკებებით, თუმცა კი ამ დროს ადგილობრივ მოსახლეობაში კანიბალიზმი და ძალადობა სუფევდა. სავსებით ცხადია, რომ ამ ხალხს მსგავსი რამის შექმნა არანაირად არ შეეძლო.

ავიღოთ სხვა მაგალითი. ანდებში, თანამედროვე ბოლივიის ტერიტორიაზე ძველი ქალაქის ტიაუნაკოს ნარჩენებია, რომელიც 200-ტონიანი ბლოკებითაა აგებული, თუმცა იქაური მოსახლეობა ქოხებში ცხოვრობდა და არქიტექტურაზე მიახლოებითი წარმოდგენაც არ ჰქონდა.

მე-19 საუკუნეში კი აღმოსავლეთ აფრიკის გაუვალ ჯუნგლებში 15 მეტრის სიმაღლის გოდოლებიან ციხე-სიმაგრესა და... ლითონსადნობი ღუმელების ნარჩენებს მიაგნეს(!).

უზარმაზარი ნაგებობების ნანგრევები შემორჩენილია მესოპოტამიაში (თანამედროვე ერაყსა და სირიაში), სამხრეთ კავკასიაში, ტაჯიკეთში, საბერძნეთში, ბალეარის კუნძულებზე, მალტაზე, ბევრ სხვა ადგილას. საგულისხმო ისაა, რომ ამ ნაგებობათა ზოგიერთი არქიტექტურული ელემენტი, მაგალითად, ზედმეტად მაღალი საფეხურები, უზარმაზარი კარფანჯრები, ძელსკამები და ა.შ. — ჩვეულებრივი სიმაღლის ადამიანისთვის აშკარად შეუსაბამოა.

იმის თაობაზე, თუ რატომაა გოლიათ ადამიანთა არსებობა სავსებით შესაძლებელი, სხვადასხვა ვერსია არსებობს. ათობით მილიონი წლის წინათ (კაცობრიობის ისტორია კი იმაზე გაცილებით ხანგრძლივია, ვიდრე ამას ოფიციალური მეცნიერება ამტკიცებს), დედამიწაზე დღევანდელისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობები არსებობდა, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია ატმოსფერული წნევა, გრავიტაცია და ჰაერში ჟანგბადის შემცველობა, რომელიც 35 პროცენტს აღწევდა (ამჟამად ის 20 პროცენტია), რაც საუკეთესო წინაპირობა იყო ცხოველთა სამყაროს განვითარებისთვის. ამასთან, გამოითქმება ვერსია, რომ იმ დროს დედამიწას არა ერთი, არამედ ოთხი თანამგზავრი ჰყავდა! ანდა, რომ მის გარშემო ყინულის ლოდების სარტყელი ბრუნავდა — იმის მსგავსი, ამჟამად სატურნს რომ აქვს. ასეა თუ ისე, მიზიდულობის ძალა ახლანდელზე საგრძნობლად მცირე იყო, რამაც დინოზავრების — გიგანტური ქვეწარმავლების გაჩენას შეუწყო ხელი. იგივეს თქმა შეიძლება გოლიათ ადამიანებზე, რომლებსაც, მცირე გრავიტაციის პირობებში, ისეთი სიმძიმეების აწევა შეეძლოთ, რომელთა მორევა სათანადო მოწყობილობების გარეშე თანამედროვე ადამიანს არ შეუძლია.

შემდეგ პლანეტარული მასშტაბის კატასტროფა მოხდა. შესაძლოა მაგნიტური პოლუსების შეცვლის, ანდა რაღაც კოსმიურ ფაქტორთა ზემოქმედების შედეგად, ყინულის ლოდების სარტყელი დედამიწაზე წყლის ნიაღვრად ჩამოვიდა, რასაც ცხოველთა სამყაროს უდიდესი ნაწილის დაღუპვა მოყვა. კაცობრიობის მეხსიერებაში კი მსოფლიო წარღვნად დარჩა.

ბევრი მკვლევარი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ოფიციალური მეცნიერება ჩქმალავს სინამდვილეს თანამედროვე ადამიანის გოლიათი წინაპრების შესახებ, რადგან ის დარვინის თეორიას, ფაქტობრივად, აცამტვერებს. შარშან უაღრესად საგულისხმო რამ მოხდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ქვეყნის უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ ინსტიტუტს საუკუნის წინანდელ მონაცემთა განსაიდუმლოება დაავალა. აღმოჩნდა, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში ამ ინსტიტუტის თანამშრომლებმა გოლიათი ადამიანების ათასობით ძვალი გაანადგურეს, რომლებიც სხვადასხვა დროს ამერიკის ტერიტორიაზე იყო ნაპოვნი. თანაც ყველაფერი მაღალი თანამდებობების პირთა ბრძანებით გაკეთდა, რომლებსაც კარგად ჰქონდათ გათვითცნობიერებული, რომ ეს ნაპოვნები დარვინის თეორიას ასამარებდნენ.

ამიტომაც, გასაკვირი სულაც არ არის, რომ გოლიათ ადამიანებს ადგილი არა ბიოლოგიის სახელმძღვანელოებში, არამედ ფოლკლორისტიკაში მიუჩინეს.

ოთარ ტურაბელიძე

ნათელი ხსოვნა

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის ყოფილი ღვაწლმოსილი თანამშრომელი

მამია დოლიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

შპს „დიდი დიღომი"-ს ბუნებრივი გაზის საყოფაცხოვრებო მომხმარებლების(მოსახლეობა) საყურადღებოდ

მიმწოდებლის მიერ ბ/გაზის ფასის გაზრდასთან დაკავშირებით, 2018 წლის 21 იანვრიდან შ.პ.ს. „დიდი დიღომი"-ს ბ/გაზის საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს (მოსახლეობა) ერთი კუბ.მეტრის მოცულობის ბ/გაზი მიეწოდება 2013 წლის 1 აპრილამდე მოქმედი ფასით — 0,509 ლარად (დღგ-ს ჩათვლით).

ავტოსაგზაო შემთხვევა თბილისში — არიან მძიმედ დაშავებულები

გუშინ, თბილისში, კერძოდ კი, თემქის მე-11 მიკრორაიონში ორი მსუბუქი ავტომანქანა ერთმანეთს შეეჯახა. ავარიის შედეგად ერთი მანქანა ამობრუნდა.

თვითმხილველების ინფორმაციით, დაშავდა სამი ადამიანი. მათივე თქმით, ერთ-ერთ ავტომობილში მცირეწლოვანი ბავშვები ისხდნენ.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის წესების დარღვევას გულისხმობს.

უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალები სასაშიდან

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ლენტეხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის და ტარების ბრალდებით, 1985 წელს დაბადებული თ.ო. დააკავეს.

სამართალდამცველებმა, ლენტეხის რაიონის სოფელ სასაშის მიმდებარე ტერიტორიაზე, თ.ო.-ს მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის ჩხრეკისას ამოიღეს:

„აკს"-ის და „აკმ"-ის მოდელების 2 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 6 მჭიდი, 145 საბრძოლო ვაზნა, „საიგას" მოდელის და „სვდ"-ს ტიპის 2 შაშხანა.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და ტარების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით).

ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ* ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერთებული სხვა მომხმარებლისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებითი, განსაკუთრებული პირობების გარეშე, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების" შესაბამისად. თქვენი (მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შედგება მიმწოდებლისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისაგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელ (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება. მიმწოდებლის არჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გაზგანაწილების ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას. თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთან) ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახდენს ქვითრის გამოწერას არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისთვის, ცხრილი № 1 -ში თქვენთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება თქვენი გამანაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ.შენიშვნა*), შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

№	ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი	იურიდიული მისამართი	ცხელი ხაზის ტელ. ნომერი, მობ. ნომერი, ელ. ფოსტა	საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის წლიური მოცულობა (კუბ.მ.)	**მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით
ა	ბ	გ	დ	ე	ვ
	შპს გოგოჭური და კომპანია	გარდაბნის რ-ნი სოფ.გამარჯვება	592804010 venera-venera61@ mail.ru	საყოფაცხოვრებო -0 არ`საყოფაცხოვრებო 3500000	საყოფაცხოვრებო -0 არასაყოფაცხოვრებო -0,9322

* თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.

შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გაზგამანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარდა). მიმწოდებელს, რომელსაც თითოეული კატეგორიისთვის შეთავაზებული აქვს ორი ფასი, ეს არის ზღვრული ფასები (ქვედა და ზედა ზღვარი) - ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.

მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი მიცკევიჩის ქ. № 19, +995 032 2 42 01 80

ლენინი დავმარხოთ, სტალინი საქართველოს გადავცეთ, ხრუშჩოვი უკვდავვყოთ...

ლენინი დავმარხოთ, სტალინი საქართველოს გადავცეთ, ხრუშჩოვი უკვდავვყოთ, — ამის შესახებ ჩეჩნეთის ლიდერმა რამზან კადიროვმა INTERFA-სთან ინტერვიუში განაცხადა.

მისი თქმით, ლენინი მავზოლეუმში როგორც სახელმწიფო მოღვაწე მოათავსეს და არა როგორც პარტიული ბელადი. ამიტომ, როგორც სსრკ-ის ყოფილი ლიდერი, მიწას უნდა მიაბარონ და საფლავზე მისი ძეგლი აღმართონ.

„რაც შეეხება სტალინის ნეშტს, კეთილი ნება უნდა გამოვიჩინოთ და ის საქართველოს გადავცეთ, რათა ის სამშობლოში დაკრძალონ. საქართველო საბჭოთა კავშირის ნაწილი იყო, რომელსაც იოსებ სტალინი ხელმძღვანელობდა. ამიტომ, ლოგიკური და სამართლიანი იქნება, თუ საქართველო მას დამარხავს და რუსეთის მილიონობით მოქალაქე კი შვებით ამოისუნთქავს, როდესაც გაიგებს, რომ სტალინის სულმა რუსეთის ტერიტორია დატოვა“, — განაცხადა კადიროვმა.

ბუკინისტი იყიდის:

მე-18-მე-19 საუკუნეში გამოშვებულ წიგნებს — 1500 ლარად, საბჭოთა კავშირში გამოშვებულ ფაიფურის სტატუეტებს — 200 ლარად, ძვირად იყიდის 1945 წლამდე გამოშვებულ ჟურნალებს, მისალოცბარათებს, გრავიურებს, ნახატებს, ხელნაწერებს, პლაკატებს, საბავშვო წიგნებს, მოვერცხლილ ან ვერცხლის ჭურჭელს.

591-75-35-38.

მექსიკაში ახალარჩეული მერი მოკლეს!..

20 ნოემბერს მექსიკაში ვერაკრუზის შტატის ქალაქ იდალგო-ტიტლანის მერი მოკლეს.

სანტანა კრუს ბაენას საკუთარ სახლში ათეულობით შეიარაღებული პირი დაესხა თავს. ბოროტმოქმედებმა სახლის კარი შეამტვრიეს და ქალაქის თავი სამ დაცვის თანამშრომელთან ერთად სასიკვდილოდ გაიმეტეს.

ვერაკრუზის შტატი მექსიკის არხის სანაპიროსთან მდებარეობს და ეს ტერიტორია ამ ბოლო დროს ნარკობარონებისა და ნარკოდილერების საბრძოლო არეალად იქცა.

კრუს სანტანამ მერად მუშაობაც კი ვერ მოასწრო, იგი მოვალეობის შესრულებას 31 დეკემბერს უნდა შესდგომოდა.

ბიონსე 105 მილიონის მფლობელია!

ჟურნალმა „Forbes“-მა 2017 წლის ყველაზე დიდი შემოსავლის მქონე ქალი მომღერლები დაასახელა.

პირველ ადგილზე 105-მილიონიანი ბიუჯეტით ესტრადის ვარსკვლავი ბიონსე გავიდა.

მეორე ადგილი 69 მილიონით ადელმა დაიკავა, მესამე პოზიციაზე ტეილორ სვიფტი გახლავთ — 44 მილიონით.

საპატიო ათეულში შევიდნენ სელინ დიონი,ჯენიფერ ლოპესი, დოლინ პარტონი, რიანა, ბრიტნი სპირსი და ქეთი პერი.

ათეულის ბოლო საპატიო წევრი ბარბარა სტრეიზანდი გახდა... მოკრძალებული 30 მილიონი დოლარით.

საუკეთესო მანქანა მანდილოსნებისთვის?

25 ქალბატონისგან შემდგარმა კომპეტენტურმა ჟიურიმ, 20 ქვეყნიდან 2017 წლის ქალებისთვის საუკეთესო მანქანები დაასახელეს. ნომინაციები რამდენიმე სახის იყო.

პირველ ადგილზე, როგორც ყველაზე „მწვანე ავტო“ „Hyundai Loniq“ — გავიდა.

ამის გარდა, აირჩიეს „ყველაზე საოჯახო ავტო“ — „Mazda CX-5. „ეკონომიური ავტო“ „Ford Fiesta“. „ ლუქს კატეგორიაში“ გაიმარჯვა „BMW 5“-ის ახალმა მოდელმა.

მოამზადა
რუსუდან ქოგულიამ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

გასაცინებელი ა(მ)ბები

სარისკო

სადაზღვევო საზოგადოების აგენტი კლიენტის დაზღვევას ცდილობს.

— თვითმფრინავით თუ დაფრინავთ? — ეკითხება კლიენტს.

— არა.

— ავტომობილით ხომ მგზავრობთ?

— არა.

— არც ველოსიპედით დადიხართ?

— არა.

— თუ ეგრეა, ბოდიში მომიხდია, ქვეითად მოსიარულეებს არ ვაზღვევთ, რადგან მეტისმეტად სარისკო საქმეა.

ჯენტლმენი

მავანი ახალგაზრდა კაცი ქალაქგარეთ მშვენიერ ვილაში დაპატიჟეს კვირა დღის გასატარებლად. ვილის მფლობელი ხუთი ულამაზესი ქალიშვილის მამა გამოდგა. რამდენიმე თვის შემდეგ მამამ ახალგაზრდა კაცს დეპეშა გაუგზავნა: „თქვენ მოხიბლეთ ჩემი ქალიშვილი. თუ ჯენტლმენი ხართ, შეირთეთ“.

მომხიბვლელმა დეპეშითვე უპასუხა:

„მე ჯენტლმენი ვარ. რომელზე უნდა ვიქორწინო?“

კარგი ვეტერინარი

ორი ლომი გალიაში პატარა საოფთიაქო ჩანთას და მსხვილმინებიან სათვალეს დასცქერის.

— მართლა კარგი ვეტერინარი იყო, — ამბობს პირველი ლომი.

— ნამდვილად, — კვერს უკრავს მეორე. — სამწუხაროა, რომ ერთი ჩიჩქიც აღარ დარჩა, ისე შემოგვეჭამა.

სიმპათიის ნიშანი

მუშაობის რამდენიმე დღის შემდეგ დაწესებულების ახალმა ხელმძღვანელმა შეამჩნია, რომ თანამშრომლები პირშეკრულებივით უსიმპათიოდ ექცეოდნენ.



— რით უნდა ავხსნათ ეს? — ჰკითხა მან ერთ-ერთ თანამშრომელს. — მიკვირს და გამკვირვებია რატომ ვერ შევაყვარე თავი? ძველი სამსახურიდან რომ მოვდიოდი, ხელქვეითებმა ვერცხლის პორტსიგარი მომართვეს.

— ვერცხლის პორტსიგარი?! — წამოიძახა თანამშრომელმა. — ჩვენ ოქროს მოგართმევდით, ბატონო.

გაძვირების მიზეზი

ზოომაღაზიაში მყიდველი დაგულისყურდა მსუქანი სიამის კატით.

— რა ღირს?

— 800 ზლოტი.

— როგორ გეკადრებათ! — აღშფოთდა მყიდველი. — ერთი კვირის წინათ მაგის ნახევარი დამიფასეთ.

— მართალი ხარ, — უთხრა გამყიდველმა. — მაგრამ ამ ერთ კვირაში ამან ორი ყველაზე ძვირფასი თუთიყუში შეგვიჭამა.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6890; ევრო - 3.1717;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5680;
100 რუბლი - 4.5384; თურქული ლირა - 0.6920;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5837;
1000 სომხური დრამი - 5.5684.

ამინდი 22 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+3,	დღე	+13
მთიანი რაიონები -	ღამე	+1,	დღე	+6
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+5,	დღე	+13
მთიანი რაიონები -	ღამე	+1,	დღე	+10
თბილისი:	ღამე	+7,	დღე	+10

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge